პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 70 (9846) ორშაბათი, 22 მარტი, 1954 წ. ფასი 20 კაპ.

მარცვლეული მეურნეობის განვითარების წარმატებაზე დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგის შემდგომი აღმავლობა, მოსახლეობისა და მთელი სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან)

# ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ*

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1954 წლის 23 თებერვალს

**კარტოფილი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები.** კარტოფილ-ბოსტნეულის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებანი განსაზღვრა სექტემბრის პლენუმმა. აქ მინდა ერთხელ კიდევ მივაქციო ყურადღება იმას, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გასადიდებლად მოსავლიანობის მკვეთრ გადიდებასთან ერთად, უახლოეს წლებში უნდა გავადიდოთ ამ კულტურების ფართობები სულ ცოტა 500-600 ათასი ჰექტარით.

ახალი მიწების ათვისება და ნათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესება საშუალებას გვაძლევს ეს ამოცანაც წარმატებით გადავწყვიტოთ.

ჩვენ შეგვიძლია ერთ წელიწადში უზრუნველვყოთ ჩვენი ქალაქები საზამთროთი და ნესვით. ამისათვის ეს კულტურები საჭირო რაოდენობით უნდა დაითესოს იმ რაიონებში, რომლებიც ყველაზე ხელსაყრელია მათი მოყვანისათვის. მხედველობაში მაქვს ვოლგისპირეთის, უკრაინის სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის რაიონები, აგრეთვე შუა აზიის რაიონები. სავაჭრო ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ საზამთროს და ნესვის შესყიდვა მოსკოვის, კიევის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქებისათვის, ხოლო ტრანსპორტის მუშაკებმა უნდა უზრუნველყონ მათი დროულად გადაზიდვა, რისთვისაც უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვიყენოთ იაფი წყლის ტრანსპორტი.

**ბაღები, საკენკრეები და ვენახები.** უკანასკნელი აღწერის მონაცემებით ხილ-კენკრის ნარგავებს ჩვენში უკავია 2,2 მილიონი ჰექტარი, აქედან 700 ათას ჰექტარამდე კოლმეურნეობებში, 230 ათასი ჰექტარი სახელმწიფო მეურნეობებში, 1 მილიონ 250 ათასი ჰექტარი აქვთ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს. ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ არის საკმარისი.

ჩვენ მოვალენი ვართ მივიღოთ ღონისძიებანი, რათა, რაც შეიძლება სწრაფად დავაკმაყოფილოთ მზარდი მოთხოვნილება ხილზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალი ბაღი მხოლოდ მეშვიდე-მერვე წელს ისხამს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება დავაყოვნოთ ახალი ბაღებისა და ვენახების გაშენება.

მკვეთრად უნდა გავაფართოოთ ხენდროს, ჟოლოს, ხურტკმელის, მოცხარისა და სხვა კენკრის ფართობები, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრებისა და დიდი ქალაქების გარშემო, რაც საშუალებას მოგვცემს 1-2 წელიწადში გავადიდოთ მოსახლეობის მომარაგება კვების ძვირფასი პროდუქტებით.

ჩვენს ქვეყანაში უკვე ჩამოყალიბდა მეხილეობისა და მევენახეობის სამრეწველო სასაქონლო რაიონები. ამიერკავკასია, შუა აზია, მოლდავეთი, უკრაინა, ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმისა და ცენტრალურ-შავმიწანი ოლქების რაიონები, სადაც ეს დარგები კვლავაც ფართოდ უნდა განვითარდნენ.

ხილის მოსავალი რომ გავადიდოთ, დიდი დამატებითი ფართობები უნდა გამოვყოთ ხეხილისა და კენკრის ნარგავებისა და ვენახებისათვის. ახალი ბაღებისა და ვენახების გაშენების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ხილისა და ყურძნის წარმოების გადიდებას, რომლებსაც გადაუმუშავებლად ვხმარობთ საჭმელად, აგრეთვე საგვიანო ვაშლისა და მსხლის, სხვადასხვა ჯიშის ტრანსპორტაბელური სუფრის ყურძნის წარმოების გადიდებას. უნდა გავაფართოოთ აგრეთვე ყურძნის მოყვანა მეღვინეობისათვის.

საზოგადოებრივი მებაღეობის განვითარებასთან ერთად კოლმეურნეობებმა დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეებს საკარმიდამო მებაღეობის განვითარებაში.

**ციტრუსოვანი კულტურები.** მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა ციტრუსებზე — ლიმონზე, მანდარინზე, ფორთოხალზე. უნდა გადიდდეს ამ კულტურების მოყვანა საქართველოში, კრასნოდარის მხარესა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

საჭიროა გავადიდოთ მანდარინისა და ლიმონის ფართობები როგორც ღია გრუნტში საქართველოში, ისე იმ რაიონებში, რომლებიც იყენებენ ციტრუსოვანთა მოყვანის სატრანშეო წესს ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სს რესპუბლიკებში, სადაც კოლმეურნეობებს ლიმონი მოყავთ ისე, რომ ხელოვნურად არ ათბობენ. საჭიროა აგრეთვე მეტად გამოვიყენოთ ქარხნების გადანარჩენი სითბო ლიმონის მოსაყვანად ლიმონარიუმებში.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება **მივაქციოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებასა და დაკონსერვებას.** ზაფხულში, როცა ხილი მწიფდება, მთელ რიგ რაიონებში არ იციან რა უყონ მას. დანარჩენ დროს ხილის, კენკრისა და ბოსტნეულის მწვავე ნაკლებობაა, რადგან შექმნილი არ არის მათი ხანგრძლივი შენახვის პირობები.

საჭიროა გავაფართოოთ ხილისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელ საწარმოთა მშენებლობა სამრეწველო მებაღეობისა და მებოსტნეობის რაიონებში, რომლებიც დაშორებულია დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს. სამწუხაროდ, ჩვენში ხშირია შემთხვევა, როცა ხილისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელი საწარმოები განლაგებულია დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ახლოს, სადაც ბოსტნეული უპირატესად გადაუმუშავებლად უნდა იხმარებოდეს.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და შესაბამისმა სამინისტროებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ, რათა მოაწყონ მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება მთელი წლის მანძილზე ახალი და დაკონსერვებული ბოსტნეულით, ხილითა და კენკრით.

არ შეიძლება შევანელოთ ყურადღება **ჩაის მოყვანისადმი.** საქართველოს, აზერბაიჯანის, კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს სერიოზული წარმატებანი აქვთ. უკანასკნელი წლების მანძილზე გამოყვანილია საბჭოთა კავშირის ჩაის კარგი ჯიშები. მაგრამ საბჭოთა კავშირის ჩაის წარმოების მიღწეული დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას მასობრივი მოხმარების ამ პროდუქტზე.

დასახულია ჩაის პლანტაციების ფართობი გადიდდეს 85 ათას ჰექტარამდე, აგრეთვე გადიდდეს ჩაის მოსავლიანობა აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარესა და საქართველოს რაიონებში.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას განსაკუთრებით ჩაის ფოთლის გადამუშავების გაუმჯობესების გზით.

## სოფლის მეურნეობის დარგების დაგეგმვის ზოგიერთი საკითხი

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოფხვრა დაგეგმვის საკითხების ნაკლოვანებებისა და შეცდომებისა, რომლებზეც ლაპარაკი იყო ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე, ძალიან ნელა მიმდინარეობს.

დაგეგმვის არსებული პრაქტიკის დროს ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განლაგება ხშირად არ შეესაბამება ეკონომიურ და ნიადაგისა და ჰავის პირობებს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის გაძღოლის გამოცდილებას, რომელიც შეძენილი აქვს ადგილობრივ მოსახლეობას.

ამ პლენუმზე ჩვენ უნდა გამოვთქვათ ჩვენი სურვილები ამ საკითხის გამო. განხილვის წესით მინდა გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება.

ადგილობრივი მუშაკები სავსებით სწორად აყენებენ საკითხს იმის შესახებ, რომ დაგეგმვა ჩვენში მეტად ცენტრალიზებულია. ეს ხელს უშლის არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებას, აფერხებს კოლმეურნეთა შემოქმედებითს ინიციატივას და ასუსტებს მათს დაინტერესებას მოსავლიანობის გადიდებით. მე მგონია, რომ ეს შენიშვნები ყურადღების ღირსია.

მოგაგონებთ, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ ჯერ კიდევ 1939 წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საქმეში კოლმეურნეთა ინიციატივის განვითარების, ცალკეული მარცვლეული კულტურების ნათესის დაგეგმვისათვის კოლმეურნეობათა პასუხისმგებლობის გაძლიერების და დაგეგმვის საქმეში კოლმეურნეთა ფართო მასების ჩაბმის მიზნით, თავიანთი დადგენილებით გააუქმეს წინათ არსებული წესი, რომლის მიხედვით კოლმეურნეობებს აუცილებლად ეძლეოდათ ყოველი ცალკეული მარცვლეული კულტურის გეგმები. ამ დადგენილებით შემოღებული წესის მიხედვით კოლმეურნეობებს ენიჭებოდათ უფლება თავიანთი შეხედულებით გაენაწილებინათ მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა, ამასთან გაეთვალისწინებინათ ნიადაგის, ჰავისა და სამეურნეო პირობები, მაგრამ ისე, რომ უზრუნველეყოთ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულება შესაბამისი კულტურებით.

მოსალოდნელი იყო, რომ დაგეგმვის ამ წესს ფართოდ შეიმუშავებდნენ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სასოფლო-სამეურნეო სამინისტროები და გამოიყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის დაგეგმვის დროს. ნამდვილად კი პირიქით მოხდა. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო სამინისტროების მუშაობის პრაქტიკაში ეს წესი, რომელსაც დიდი უპირატესობა აქვს წინანდელთან შედარებით, უგულებელყოფილი იყო და არსებითად არ მოქმედებდა.

ჩვენ უნდა შემოვიღოთ დაგეგმვის ისეთი წესი, რომელიც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ სახელმწიფომ შეინარჩუნოს სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობა, და ამასთან გზა გავუხსნათ ადგილების ინიციატივას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორმა დაგეგმვამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ მაქსიმალური რაოდენობით მივიღოთ პროდუქცია ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში ჩვენს გეგმებში თავის გამოხატულებას ჰპოვებს ეს პრინციპი. ამასთან არ შეიძლება დავუშვათ სტიქიურობა, სახელმწიფო უნდა გეგმავდეს წარმოებას გადამწყვეტი მაჩვენებლების მიხედვით ოლქებისათვის, მხარეებისა და რესპუბლიკებისათვის, აწესებდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეული რაოდენობით ჩაბარების დავალებებს.

თუ საჭირო ხდება გადიდდეს ამა თუ იმ კულტურის, მაგალითად, შაქრის ჭარხლის, ბამბის, სელის, ვაზის ფართობები, მთავრობა აწესებს დავალებებს ამ კულტურების დარგში. ასეთ შემთხვევებში ხდება მიღება გადაწყვეტილებისა, რომელსაც აცნობებენ რაიონებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, კოლმეურნეობებს.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სასოფლო-სამეურნეო სამინისტროებმა სერიოზულად და საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ეს საკითხები და შემოიტანონ საჭირო წინადადებანი.

უნდა გამოსწორდეს აგრეთვე მეცხოველეობის დარგების განლაგების დაგეგმვის ნაკლოვანებანი. შეცდომები აქაც საკმაოდ ბევრია. აი მაგალითები:

არაშავმიწანიადაგიანი ზონის მთელი რიგი ოლქების კოლმეურნეობებში, რომლებსაც აქვთ კარგი ბუნებრივი საკვების სავარგულები და სასილოსე კულტურების, კარტოფილისა და ძირხვენების მოყვანის ხელსაყრელი პირობები, მაშასადამე, მერძეული მესაქონლეობის სწრაფი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებიც, ძროხის სულადობა ნელა მატულობს და ჯერაც არ მიუღწევია ომამდელი დონისათვის.

ამავე დროს აქ იგეგმებოდა მეცხვარეობა, რომლის განვითარებისთვის საჭირო პირობები არ არის. არხანგელსკისა და ვოლოგდის ოლქების კოლმეურნეობებში ძროხის რაოდენობა 1954 წლის 1 იანვრისათვის 87-83 პროცენტს შეადგენს 1940 წელთან შედარებით, ხოლო ცხვრის სულადობამ ომამდელ დონეს 25-10 პროცენტით გადააჭარბა; ვლადიმირის ოლქის კოლმეურნეობებში ცხვრის სულადობა კიდევაც გადიდდა 86 პროცენტით.

უნდა ითქვას, რომ მთელ არაშავმიწანიადაგიან ზოლშიც — სარძეო მესაქონლეობის ამ უმნიშვნელოვანეს რაიონში — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდა მხოლოდ 5 პროცენტით, ხოლო ცხვრის სულადობა გადიდდა 55 პროცენტით. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ ზონის ბევრი რაიონი ნაკლებად გამოსადეგია მაღალპროდუქტიული მეცხვარეობის განვითარებისათვის. 1953 წელს არაშავმიწანიადაგიანი ზონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მატყლი ჩააბარეს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში მატყლის დამზადების გეგმის მხოლოდ 3 პროცენტის ოდენობით. ამიტომ ამ რაიონებისათვის არ უნდა ხდებოდეს ცხვრის მოშენების სავალდებულო დაგეგმვა. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შეუძლიათ მოაშენონ და კიდევაც უნდა მოაშენონ ცხვარი, განსაკუთრებით საქურქე ცხვარი, თავიანთი შეხედულებით ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

ნაკლებ დასაბუთებულია საკრაველე ცხვრის სულადობის მნიშვნელოვანი ზრდის დაგეგმვა უკრაინის, კრასნოდარის მხარის, ასტრახანისა და სტალინგრადის ოლქების მთელ რიგ რაიონებში, სადაც უფრო ხელსაყრელია ნაზმატყლიანი ცხვრის მოშენება.

ომამდელ პერიოდთან შედარებით ცხვრისა და თხის სულადობა საბჭოთა კავშირში ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდა 91,6 მილიონიდან 135,9 მილიონ სულამდე 1953 წლის 1 ოქტომბრისათვის. შარშან ჩვენ მივიღეთ მხოლოდ 230 ათას ტონაზე ცოტა მეტი მატყლი, აქედან ნაზი მატყლი მხოლოდ 32 ათასი ტონა.

იმისათვის, რომ უახლოეს წლებში 2—2,5-ჯერ გავადიდოთ მოსახლეობისათვის შალეულის მიყიდვა, მატყლის წარმოება ჩვენს ქვეყანაში 1958 წელს უნდა გადიდდეს დაახლოებით 450 ათას ტონამდე, აქედან ნაზი მატყლისა 150 ათას ტონამდე.

ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის წარმოების ძირითად ზონას, აგრეთვე ნაზმატყლიანი მეცხვარეობის საჯიშე ბაზას წარმოადგენენ ჩრდილოეთ კავკასიის, აგრეთვე სამხრეთ უკრაინის, ქვედა და შუა ვოლგისპირეთის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. 1952 წელს ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ნაზი მატყლის 66 პროცენტი მოდის ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებზე. მაგრამ აქაც სავსებით როდი იყენებენ მატყლის წარმოების შემდგომი გადიდების შესაძლებლობებს.

ნაზმატყლიანი ცხვრის სულადობის ზრდასა და მატყლის ნაპარსის გადიდებას ამ რაიონებში დიდად აფერხებს საძოვრების მოუწყობლობა. საძოვრების მნიშვნელოვანი ტერიტორიები წყლით არ არის უზრუნველყოფილი და ბევრი კოლმეურნეობა იძულებულია ზაფხულში ცხვარს წყალი მოუზიდოს ზოგჯერ რამდენიმე ათეული კილომეტრიდან. საჭიროა უახლოეს წლებში განვახორციელოთ საძოვრების წყლით უზრუნველყოფის დიდი სამუშაოები, ავაშენოთ ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხრეთ უკრაინასა და ვოლგისპირეთში 2-3 ათასი ჭა და წყლით უზრუნველსაყოფი და სარწყავი არხები.

„შავი მიწები“ და ყიზლარის საძოვრები ყველაზე ხელსაყრელია ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებისათვის: ზამთარში ამ საძოვრებზე ცხვრის ძოვება ერთი კილოგრამით და მეტით ადიდებს მატყლის ნაპარსს. მაგრამ ამ საძოვრებს არარაციონალურად იყენებენ.

„შავი მიწებისა“ და მათი მომიჯნავე რაიონების ტერიტორიაზე ასტრახანის ოლქში მდებარეობს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 13 საკრაველე და 7 სახორცე საბჭოთა მეურნეობა. ამ საბჭოთა მეურნეობებში ნახევარ მილიონამდე ჰექტარი საძოვრებია, რომლებსაც პირუტყვი ვერ იყენებს. მიზანშეწონილი იქნებოდა საკრაველე ცხვრის სულადობა ასტრახანის ოლქიდან გადაგვეყვანა ყაზახეთში, ხოლო საკრაველე და სახორცე საბჭოთა მეურნეობების ტერიტორია გამოგვეყენებინა ნაზმატყლიანი ცხვრის მოსაშენებლად, რაც 3 მილიონ ჰექტარამდე გაადიდებდა ნაზმატყლიანი მეცხვარეობის საძოვრების ფართობს.

ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკების მიერ ამ საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ზონაში ვოლგისპირეთისა და უკრაინის რაიონებთან ერთად ცხვრის სულადობა 4-5 წლის განმავლობაში შეიძლება გადიდდეს 32 მილიონიდან 51 მილიონამდე; მატყლის, უმთავრესად ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის წარმოება — 68 ათასი ტონიდან 160 ათას ტონამდე 1958 წელს.

ალტაის, კრასნოიარსკის მხარეების, ომსკისა და ჩიტის ოლქების, ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკისა და ციმბირის სხვა რაიონების მიწის დიდი სივრცეები საშუალებას გვაძლევს შევქმნათ იქ ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის წარმოების მეორე ბაზა. ციმბირის ბევრი მოწინავე კოლმეურნეობის მაგალითები დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ შეგვიძლია მივიღოთ ნაზმატყლიანი ცხვრის მატყლის საშუალო ნაპარსი 4—4,5 კილოგრამამდე და ნახევრად ნაზმატყლიანი ცხვრისა — 3—3,5 კილოგრამამდე.

მეცხვარეობის განვითარებისათვის უდიდესი შესაძლებლობებია ყაზახეთში და შუა აზიის რესპუბლიკებში. გამოანგარიშებულია, რომ ცხვრის საერთო სულადობა 1958 წლის ოქტომბერში აქ შეიძლება გადიდდეს თითქმის ერთიორად და აყვანილ იქნას 60 მილიონამდე ამჟამად არსებული 37 მილიონის ნაცვლად.

უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკებში და ყაზახეთის სს რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში არის პირობები საკრაველე და დუმიანი ცხვრის სულადობის მნიშვნელოვანი ზრდისა და მაღლაკის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

იმისათვის, რომ წარმატებით გადავჭრათ შუა აზიისა და ყაზახეთის რაიონებში ცხვრის სულადობის შემდგომი ზრდის ამოცანა, საჭიროა განვახორციელოთ საძოვრების წყლით უზრუნველყოფის დიდი სამუშაოები. ამ რაიონებში 120 მილიონ ჰექტარზე მეტი საძოვრებია, რომლებიც ამჟამად თითქმის გამოუყენებელია უწყლობის გამო. უახლოეს 2-3 წელიწადში ყაზახეთისა და შუა აზიის რაიონებში წყლით უზრუნველყოფილ და ათვისებულ უნდა იქნას სულ ცოტა 40 მილიონი ჰექტარი საძოვრები.

საჭიროა უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს ცხვრის საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნას სტიქიური უბედურების შემთხვევისათვის. ცნობილია, რომ სამომთაბარო საძოვრებზე ზოგიერთ წლებში დიდი თოვლის გამო, როცა ბალახი ცხვრისათვის მიუწვდომელი ხდება, ასეულ ათასობით და მილიონობით სული პირუტყვი იღუპება. მაგალითად, 1951 წლის იანვარ-მარტში მარტო ყაზახეთის კოლმეურნეობებში დაიღუპა მილიონ-ნახევარზე მეტი ცხვარი, 350 ათასი ცხვარი დაიღუპა უზბეკეთის სსრ კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევასთან და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯები 1951 წელს დაახლოებითი გამოანგარიშებით 600 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენდა. საკვების სადაზღვევო მარაგის არსებობა, რომელიც დროზე იქნება მიტანილი დაზამთრების ადგილას სულ ცოტა 1-2 ცენტნერის რაოდენობით თითო ცხვარზე, უზრუნველყოფს სულადობის შენარჩუნებას არახელსაყრელ წლებში.

მაგრამ წარსულის სავალალო გამოცდილებამ ვერაფერი ვერ ასწავლა მთელი რიგი რესპუბლიკებისა და ოლქების ხელმძღვანელებს. სამი წლის წინათ სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებში საზამთრო საძოვრებზე დაიღუპა 300 ათასამდე ნაზმატყლიანი ცხვარი. მაგრამ წელსაც მხარის კოლმეურნეობებმა „შავ მიწებზე“ ცხვარი თივით უზრუნველყვეს მხოლოდ 20-25 დღით.

ამინდის არახელსაყრელ პირობებთან დაკავშირებით მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში კვლავ მოუხდათ გზების გაწმენდა ტრაქტორებით, გრეიდერებით, ბულდოზერებით და ტანკებითაც კი, საკვების სასწრაფოდ გადაზიდვა ავტომანქანებით. ამავე დროს მხარის მეცხვარეობის მეტ წილ კოლმეურნეობებს აქვთ 10-15 ავტომანქანა თვითეულს და შეეძლოთ დროზე მიეზიდათ „შავ მიწებზე“ საკმაო საკვები და არ დაეშვათ ნაზმატყლიანი ცხვრის მასობრივი სიკვდილიანობა.

ასეთია მდგომარეობა, ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების დაგეგმვისა და განლაგების მხრივ. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა შექმნის დამატებითს პირობებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

* * *

ერთ-ერთი მომწიფებული საკითხია სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის საკითხი. დღემდე, ჯერ კიდევ არა გვაქვს მანქანების, იარაღებისა და მექანიზმების სრული კომპლექტი იმისათვის, რომ შევასრულოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეურნეობის ცალკეული დარგების სამუშაოთა კომპლექსი.

მარცვლეულის წარმოება სოფლის მეურნეობის ყველაზე მექანიზებული დარგია, მაგრამ აქაც მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები სუსტად მექანიზებულია ან სულაც არ არის მექანიზებული. ასეთი სამუშაოებია უწინარეს ყოვლისა მარცვლის დამუშავება მოსავლის აღების შემდეგ (გაწმენდა და გახმობა), მარცვლის აწონა, დატვირთვა და გადმოტვირთვა, ნამჯისა და ნახორის შეგროვება და დაზვინვა. ამიტომ მოსავლის აღების შემდეგ მარცვლის დამუშავებასა და ნამჯისა და ნახორის შეგროვებაზე გაცილებით უფრო მეტი შრომადღე იხარჯება, ვიდრე მარცვლეული კულტურების მოყვანის ყველა წინა სამუშაოზე.

მწვავედ დგას შაქრის ჭარხლის მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის დამთავრების საკითხი. ანგარიშებში აღნიშნულია, რომ შაქრის ჭარხლის აღების მექანიზაციის დონე შეადგენს 80 პროცენტს, ნამდვილად კი კომბაინებით იღებენ მხოლოდ 7 პროცენტ შაქრის ჭარხალს, დანარჩენ 73 პროცენტს კი — ჭარხლის ამოსაღები მანქანით. ამავე დროს ჭარხლის ამოსაღები მანქანა არსებითად ძველი სათხრელია, მისი გამოყენებით ხდება მხოლოდ ჭარხლის ძირის შემოთხრის პროცესის მექანიზაცია, დანარჩენი სამუშაო კი ხელით სრულდება.

მექანიზებული არ არის აგრეთვე საბოჭკოე სელის, კანაფის, ბამბის, საკვები კულტურების მოყვანისა და მათი მოსავლის აღების და საკვების გადამუშავების, სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სხვა დარგების ბევრი შრომატევადი სამუშაო.

ცნობილია საკიდი მანქანების და იარაღების გამოყენების უპირატესობა და ეკონომიური სარგებლობა. ისინი საშუალებას იძლევიან შემცირდეს მუშახელის რაოდენობა, რადგან მათ ტრაქტორისტი მართავს და საჭირო არ არის მიმბმელი. მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1956 წლის დამლევისათვის ექნებათ 300 ათასზე მეტი სათოხნი ტრაქტორი, საკიდი იარაღების გამოყენება გაათავისუფლებს სულ ცოტა 300 ათას მიმბმელს. საკიდი მანქანების გასაკეთებლად საჭიროა თითქმის ერთიორად ნაკლები ლითონი, ვიდრე მისაბმელი მანქანების წარმოებისათვის. საკიდი იარაღები დღემდე ნელა ინერგება; ფაქტიურად მათი მასობრივი წარმოება მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანს დაიწყო.

ცალკეული მანქანების კონსტრუქციებს ამუშავებდნენ და უშვებდნენ სხვა მანქანებთან დაუკავშირებლად, რომლებიც კომპლექსში უნდა მუშაობდნენ. მაგალითად, მრავალი წლის მანძილზე უშვებდნენ 2-მწკრივიან კარტოფილსათეს მანქანას, ხოლო კარტოფილის მწკრივთაშორის დასამუშავებელ კულტივატორებს უშვებდნენ 4-მწკრივიანს, მაშინ როცა ცნობილია, რომ 2-მწკრივიანი მანქანით დათესილი კარტოფილის 4-მწკრივიანი კულტივატორით დამუშავება ბევრ შემთხვევაში შეუძლებელია.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა თვითდინება დაუშვეს ამ საქმეში.

საჭიროა უახლოეს ერთ-ორ წელიწადში უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყანა მანქანებითა და მექანიზმებით, რომლებიც გააადვილებენ შრომას და გაადიდებენ მის ნაყოფიერებას სოფლის მეურნეობაში. ჩვენ საკმაოდ გვყავს კვალიფიციური კადრები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან სრულყოფილ კონსტრუქციათა მანქანები, ხოლო ჩვენს მრეწველობას შეუძლია უზრუნველყოს ყოველგვარი მანქანის გაკეთება.

ცუდად არის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების დამზადების საქმე. სამრეწველო სამინისტროები წლითიწლობით ვერ ასრულებენ სათადარიგო ნაწილების წარმოების სახელმწიფო გეგმას. სათადარიგო ნაწილებს, როგორც წესი, უშვებენ არა დამტკიცებული ნომენკლატურით, არამედ დეტალების ღირებულების მიხედვით. ამით წარმოუდგენელ დიდ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას. ცალკეული დეტალების ნაკლებობის გამო ბევრი ტრაქტორი და მანქანა ცდება, რის შედეგად ჭიანურდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ვადები და მცირდება მოსავლიანობა.

მანქანათმშენებლობის სამინისტრო და მისი მომარაგების ორგანოები უდარდელად ეკიდებიან იმას, რომ

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

* დასასრული. დასაწყისი იხილე „კომუნისტი“ № 69.

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეეძლოთ დროზე და საჭირო რაოდენობით მიიღონ სათადარიგო ნაწილები, რომლებიც მათ სჭირდებათ. სავსებით სამართლიანი იქნება შევეკითხოთ მანქანათმშენებლობის მინისტრს ამხ. აკოფოვს, რატომ გადაიქცა რაღაც გადაუჭრელ პრობლემად სათადარიგო ნაწილების წარმოება, რატომ ეკიდებიან უპასუხისმგებლოდ სამინისტროს მუშაკები ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, რატომ გაემიჯნენ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებებს?

საჭიროა გავაძლიეროთ მრეწველობისა და მომმარაგებელი ორგანოების მუშაკთა პასუხისმგებლობა სათადარიგო ნაწილების წარმოებისა და მიწოდების გეგმის შესრულებისათვის და სასტიკი სასჯელი დავადოთ ხელმძღვანელებს, რომლებიც ფუშავენ გეგმას და ვერ უზრუნველყოფენ სათადარიგო ნაწილების კომპლექტურ გაგზავნას.

გადაუდებელი ამოცანაა გავაჩაღოთ სათადარიგო ნაწილების წარმოება ისეთი რაოდენობითა და ნომენკლატურით, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფენ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებებს მანქანების შეუფერხებელი მუშაობისათვის. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი, რათა უფრო მეტად დააინტერესონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები იმით, რომ უფრო მომჭირნეობით ხარჯონ სათადარიგო ნაწილები.

## საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მათი სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ

ამხანაგებო! ჩვენ სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ საბჭოთა მეურნეობებს. ჩვენს ქვეყანაში 4.835 საბჭოთა მეურნეობაა, აქედან 3.579 საბჭოთა მეურნეობა — საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში, 869 — სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროში და 387 საბჭოთა მეურნეობა — სხვა უწყებებში.

საბჭოთა მეურნეობები აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით, რაც საშუალებას გვაძლევს მთლიანად მოვახდინოთ მინდვრის ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია. წლითიწლობით ფართოვდება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მეცხოველეობაში. საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოსტატთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებიც, ფართოდ იყენებენ რა მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს, იღებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგ მოსავალს და აღწევენ მეცხოველეობის დიდ პროდუქტიულობას. მოწინავე საბჭოთა მეურნეობები სწორად, მაღალნაყოფიერად იყენებენ მიწას.

აი მონაცემები თუ როგორია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ზოგიერთ საუკეთესო საბჭოთა მეურნეობაში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 1953 წელს:

| საბჭოთა მეურნეობები | მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი | მათ შორის ძროხა | რძე (ცენტნერობით) | პირუტყვისა და ფრინველის ხორცი (ცენტნერობით დაკლულის წონით) |
|---|---|---|---|---|
| „ლესნიე პოლიანი“ | 71 | 29 | 1.303 | 59 |
| „კომუნარკა“ | 55 | 28 | 1.177 | 127 |
| „გორკი-II“ | 33 | 14 | 937 | 133 |
| „ხოლმოგორსკი“ | 44 | 21 | 959 | 38 |

შესანიშნავი შედეგები აქვთ, როგორც წესი, იმ საბჭოთა მეურნეობებს, რომლებსაც სათავეში უდგანან კარგი ხელმძღვანელები, ნიჭიერი ორგანიზატორები.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი საბჭოთა მეურნეობები, რომელთაც მაღალი მაჩვენებლები აქვთ. ბევრი მეურნეობა მუშაობს ცუდად, ზარალით, მფლანგველურად იყენებს მიწის დიდ მასივებს, ცოტას იძლევა მარცვლეულს, ხორცს, რძესა და სხვა პროდუქტებს.

ბევრი საბჭოთა მეურნეობის დიდი ნაკლია დაბალი მოსავლიანობა. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები არ იღებენ ღონისძიებებს, რომ აღმოფხვრან ეს ნაკლი.

ყველაზე სერიოზული შეცდომა საბჭოთა მეურნეობების განვითარებაში არის მარცვლეულის წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება. იმ ფაქტებიდან, რომლებიც ამჟამად ჩვენ ხელთ არის, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელთა ღონისძიებები მიმართული იყო არა მარცვლეულის წარმოების გადიდების, არამედ მისი შემცირებისაკენ.

1940 წლიდან 1953 წლამდე მარცვლეული კულტურების ხვედრითი წონა საბჭოთა მეურნეობების მთელ ნათეს ფართობზე შემცირდა 69 პროცენტიდან 52 პროცენტამდე. მაგრამ, სამაგიეროდ, საკვები კულტურების ფართობი 27 პროცენტიდან გადიდდა 44 პროცენტამდე, უპირატესად მრავალწლიანი ბალახების თესვით. მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში ამ უკანასკნელ ხანს მრავალწლიანი ბალახებით დაკავებული აღმოჩნდა მთელი სათესი ფართობის ორმესამედამდე. თუ მრავალწლიან ბალახებს მივუმატებთ ერთწლიან ბალახებს, მაშინ მარცვლეულისა და ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის წილად ბევრ საბჭოთა მეურნეობაში ფართობის მხოლოდ 20-25 პროცენტი დარჩა. გაჩნდა თავისებური „ბალახის“ საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც არსებითად არც მარცვლეულს აწარმოებენ და არც სხვა ძვირფას კულტურებს, ხოლო თესავენ ბევრ ბალახს. მაგრამ ასეთ საბჭოთა მეურნეობებში ბალახიც არ არის. მათ მინდვრებს მოდებული აქვს ნარშავი და სხვა სარეველები.

ჩკალოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ბროდში“ 1952 წელს 6.210 ჰექტარი სათესი ფართობიდან მარცვლეულ კულტურებს ეკავათ მხოლოდ 1.690 ჰექტარი, ხოლო მრავალწლიან ბალახებს — 3.617 ჰექტარი, ესე იგი ორჯერ და უფრო მეტი. ომსკის ოლქის „მოსკალენსკის“ საბჭოთა მეურნეობაში 9.210 ჰექტარი ნათესი ფართობიდან მარცვლეულით დაკავებულია 2.690 ჰექტარი, ხოლო მრავალწლიანი ბალახებით — 5.240 ჰექტარი, ანუ თითქმის 2-ჯერ მეტი.

იქნებ ბალახის ნათესების სიჭარბე საშუალებას აძლევს „ბალახის“ საბჭოთა მეურნეობებს აიღონ უხვი მოსავალი და მიიღონ ბევრი თივა? სრულიადაც არა. იგივე საბჭოთა მეურნეობა „ბროდი“ ჰექტარზე იღებს მრავალწლიანი ბალახების მხოლოდ 2,3 ცენტნერ თივას, ხოლო საბჭოთა მეურნეობა „მოსკალენსკი“ — მრავალწლიანი ბალახების 4 ცენტნერ თივას. ასეთი საბჭოთა მეურნეობები გამონაკლისი როდია.

იბადება კითხვა: განა შეიძლებოდა, რომ ასეთი ფაქტები არ სცოდნოდათ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელებს? მათ იცოდნენ ეს ფაქტები, მაგრამ, დაივიწყეს რა თავიანთი მოვალეობა — იზრუნონ მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და საბჭოთა მეურნეობების საქონლიანობის და რენტაბელობის ამაღლებისათვის, ფაქტიურად დაადგნენ ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის წახალისების გზას, თავიანთი სისტემის მუშაკებში სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილების გაღვივების გზას.

სწორედ არასწორი ხელმძღვანელობის შედეგად საბჭოთა მეურნეობებში გაიმარჯვა და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მარცვლეული კულტურების შემცირების გეზმა, თუმცა ეს აშკარად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს.

ასეთი მანკიერი პრაქტიკის გამო ბევრი საბჭოთა მეურნეობა ცოტა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს აბარებს ჩვენს ქვეყანას.

ცალკეული ოლქებისა და რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოსაგან იღებენ გაცილებით უფრო მეტ საფურაჟე მარცვლეულსა და სხვა კონცენტრირებულ საკვებს, ვიდრე აწარმოებენ.

სამინისტრო მოვალეა გადაჭრით აამაღლოს საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის დონე, ოპერატიულად ჩაერიოს მათს სამეურნეო საქმიანობაში და მიაღწიოს იმას, რომ მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს იყენებდნენ ყველა საბჭოთა მეურნეობაში. სამინისტრო ამას დღემდე არ აკეთებს. ეს შეიძლება ცხადვყოთ შემდეგი მაგალითით.

კრასნოდარის მხარის უაღრესად ნაყოფიერ მიწებზე მოთავსებულია ბერეზანსკისა და ნოვო-პოკროვსკაიას მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები. აი როგორ გამოიყურება მათი 1953 წლის მუშაობის შედეგები:

| | ბერეზანსკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა | ნოვო-პოკროვსკაიას მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა |
|---|---|---|
| საერთო ნათესი ფართობი, ჰექტარი | 11.911 | 19.283 |
| მათ შორის მარცვლეულისა, ჰექტარი | 7.548 | 12.094 |
| აქედან ხორბალი, ჰექტარი | 6.616 | 9.983 |
| მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე ცენტნერობით | 18,9 | 11,8 |
| მათ შორის საშემოდგომო ხორბალისა ჰექტარზე ცენტნერობით | 19,9 | 12,5 |
| ჩაბარდა სახელმწიფოს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე: | | |
| მარცვლეული ცენტნერობით | 863 | 371 |
| რძე ცენტნერობით | 79 | 28 |
| ხორცი დაკლულის წონით ცენტნერობით | 25 | 8 |
| აქედან ღორის ხორცი 100 ჰექტარ ნახნავზე | 24,5 | 5,7 |
| 1 ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება: | | |
| მარცვლეულისა მანეთობით | 17 | 27 |
| რძისა მანეთობით | 78 | 92 |
| მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცისა მანეთობით | 390 | 663 |
| ღორის ხორცისა მანეთობით | 560 | 1.007 |

ამ საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის შედეგები ასეთია: პირველ საბჭოთა მეურნეობაში მიღებულია 979 ათასი მანეთი მოგება, ხოლო მეორე საბჭოთა მეურნეობაში — 1 მილიონი 37 ათასი მანეთი ზარალი.

აქ, ისევე როგორც სხვა საბჭოთა მეურნეობებში, მუშაობის შედეგები დამოკიდებულია არა წვიმასა და მზეზე, არამედ იმაზე, თუ ვინ როგორ უძღვება მეურნეობას. ბერეზანსკის საბჭოთა მეურნეობაში დირექტორად მუშაობს ამხ. ლისენკო, უნარიანი ორგანიზატორი, ხოლო მეორე საბჭოთა მეურნეობაში — ამხ. ბუბნოვი, რომელიც სუსტად და უუნაროდ ხელმძღვანელობს მეურნეობას. მისი „ხელმძღვანელობა“ ძვირად დაუჯდა სახელმწიფოს. საბჭოთა მეურნეობას წლის განმავლობაში მილიონი მანეთი ზარალი აქვს, ხოლო რამდენი პროდუქცია დააკლო მან ჩვენს ქვეყანას.

ამრიგად, ჩვენს წინაშე არის ორი საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც ერთნაირ ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში მუშაობენ, აქვთ ზრდის ერთნაირი შესაძლებლობანი. ხოლო შედეგები, როგორც ხედავთ, სრულიად სხვადასხვაა.

რატომ არ შეიძლება მუშაობის ის პრაქტიკა, რომელიც ბერეზანსკის მოწინავე საბჭოთა მეურნეობაში აქვთ, გადავიტანოთ ნოვო-პოკროვსკაიასა და სხვა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში? რა თქმა უნდა, შეიძლება.

მაშ, სად არის სამინისტროს მაორგანიზებელი როლი? ნუთუ იმისათვის, რომ გადავიტანოთ მოწინავე გამოცდილება ერთი საბჭოთა მეურნეობიდან მეორეში, ათეული წლებია საჭირო? არა, საქმე ის არის, რომ სამინისტროს მუშაკები არ სწავლობენ მეურნეობის სწორი ორგანიზაციის გამოცდილებას, რომ სხვებს გადასცენ იგი. სამინისტრო წლობით ურიგდება საბჭოთა მეურნეობებში ისეთ ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ და არ შეუძლიათ უზრუნველყონ საქმის სწორი გაძღოლა, არ ცვლის მათ სხვა, უნარიანი ხელმძღვანელებით. არსებობს თვითდინება. სამინისტროს ხელმძღვანელები ყოველ ცალკეულ საბჭოთა მეურნეობამდე ვერ აღწევენ, ხოლო საქმის მდგომარეობის შესახებ მსჯელობენ მხოლოდ საშუალო მაჩვენებლების მიხედვით.

იმას, თუ რა უმსგავსოება ხდება საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემაში, მოწმობს აგრეთვე ცხენსაშენთა მუშაობის პრაქტიკის მრავალი ფაქტი.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ამ ცხენსაშენებს ცენტრალურ შავნიადაგიანი ოლქების, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის, უკრაინის, ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებში მიჩენილი აქვთ 4,2 მილიონი ჰექტარი მიწა. ცხენსაშენებში 1952 წლის დამლევისათვის 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით იყო მხოლოდ 2,7 ჯიშიანი ცხენი, 1,5 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 0,3 ძროხა, 11,5 ცხვარი, ხოლო ღორი 100 ჰექტარ ნახნავზე — 3 სული.

ცხენსაშენებში 1952 წელს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიღებულ იქნა: 84 ცენტნერი მარცვლეული, 5 ცენტნერი რძე, ესე იგი 5 ლიტრი ჰექტარზე, 0,7 ცენტნერი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცი დაკლულის წონით, 0,3 ცენტნერი ცხვრის ხორცი, 0,4 ცენტნერი მატყლი, 100 ჰექტარ ნახნავზე 2,3 ცენტნერი ღორის ხორცი. მაგრამ სამაგიეროდ ცხენსაშენებმა სახელმწიფოსაგან 1952 წელს მიიღეს 838 ათასი ფუთი საფურაჟე მარცვლეული, ქატო და კომბინირებული საკვები.

ცხენსაშენების დირექტორებად კი, უეჭველია, კომუნისტები მუშაობენ, ისინი გამოდიან კრებებზე, იწონებენ პარტიის ხაზს, ფიცულობენ, რომ იბრძვიან კომუნიზმის აშენებისათვის. მაგრამ ასეთი „ბრძოლა“ მოგვაგონებს ცნობილ არაკს ბუზის შესახებ, რომელიც ხარს რქაზე აჯდა და ისიც „ხნავდა“. ჰოდა ცხენსაშენების ბევრი ხელმძღვანელი კისერზე აზის სახელმწიფოს და გაიძახის, „ჩვენც ვხნავდითო“.

ამ „მხვნელებს“ დაუკარგავთ მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. ცხოვრობენ უზრუნველად, უდარდელად, არაფერზე არ იწუხებენ თავს. მათთის ჩაბარებული მინდვრები თვალუწვდენია, როგორც კოჩუბეისა, გაიხსენეთ პუშკინის ლექსი:

> „მდიდარი და სახელოვანია კოჩუბეი,
> მისი მინდვრები თვალუწვდენია;
> იქ მის ცხენთა რემა
> ძოვს თავისუფლად, დაუცველად“.

ასე იყო პუშკინის „პოლტავის“ დროს. ასეთ სურათს ვხედავთ ახლაც ჩვენს ცხენსაშენებში. მაგრამ ახლანდელ კოჩუბეებს, თვალუწვდენი მინდვრების გარდა, აქვთ კიდევ მსუბუქი მანქანა, აქვთ გუბურაც და თევზიც ჰყავთ ამ გუბურაში. მათ ყველაფერი აქვთ, მხოლოდ არა ჩანს ნამდვილი მუშაობა, საქმისადმი სიყვარული. მათ არა აქვთ უნარი და სურვილი სათანადოდ გაუძღვნენ მეურნეობას.

ეს სამარცხვინო საქმეა, რომელიც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს! ის მიწები რომ დავხნათ, რომლებსაც ცხენსაშენები არ იყენებენ, ამ მიწებზე დავთესოთ ხორბალი და სხვა კულტურები, ჩვენი ქვეყანა დამატებით ბევრ პურს მიიღებს. ეს ხომ დანაშაულია, რომ მარცვლეულის მოსაყვანი საუკეთესო მიწები, როგორიც, მაგალითად, კრასნოდარის მხარეში, კიროვოგრადისა და სხვა ოლქებში, ცხენსაშენთა განკარგულებაშია და არსებითად უნაყოფოდ იკარგება.

ამხანაგებო, რატომ ხდება ასე? ჩვენ გვყავს საბჭოთა მეურნეობების მინისტრიც, მისი მოადგილეებიც, სამინისტროშია სხვადასხვა მთავარი სამმართველოები, არიან სპეციალისტებიც. განა ისინი ამას ვერ ხედავენ? განა რომელიმე ლაბორატორიაში უნდა ხდებოდეს ასეთი „აღმოჩენები“? ასეთ სისულელეს სულ უბრალო ადამიანიც დაინახავს, თუ პატიოსნად და კეთილსინდისიერად მოეკიდება თავის მოვალეობას.

უნდა ვამხილოთ ასეთი ადამიანები, გამოვააშკარაოთ ისინი როგორც ხალხის დოვლათის გამფლანგველები, უდარდელი მუშაკები, რომლებიც აფერხებენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის პროდუქტების დიდი რაოდენობით მიღებისათვის ბრძოლას.

საბჭოთა მეურნეობებს თავიანთ დიდ შესაძლებლობათა უნარიანი გამოყენებით შეუძლიათ მკვეთრად გაადიდონ არა მარტო მარცვლეული და სხვა კულტურების, არამედ აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. მაგრამ ჩვენი ქვეყანა დღემდე საბჭოთა მეურნეობებისაგან ცოტას იღებს ხორცს, რძეს, მატყლს.

100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ მხოლოდ 23 ცენტნერ რძეს, 5 ცენტნერ ხორცს დაკლულის წონით და 45 კილოგრამ მატყლს.

არ შეიძლება რამდენადმე დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ ღორის ხორცის წარმოება ჩრდილო-დასავლეთის, ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზოლის, ბელორუსიის საბჭოთა მეურნეობებში, ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში, სადაც ღორების გასასუქებლად კარტოფილისა და სიმინდის მოყვანის დიდი შესაძლებლობაა.

ჯერ კიდევ დიდია საბჭოთა მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება, განსაკუთრებით დიდია ღორის ხორცის თვითღირებულება, რადგან საბჭოთა მეურნეობები პირუტყვს ასუქებენ ძვირადღირებული შემოტანილი კონცენტრირებული საკვებით. ამ მიზნისათვის მეტად მცირე რაოდენობით იყენებენ კარტოფილს, განსაკუთრებით არაშავნიადაგიან ზოლში, ხოლო სამხრეთის ველიან რაიონებში — სიმინდს.

ასეთივე ნაკლოვანებებია სხვა სამინისტროების საბჭოთა მეურნეობების, მაგალითად, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში.

ამ სამინისტროში საბჭოთა მეურნეობები შექმნილია ტექნიკური კულტურების მოსაყვანად შაქრის, სპირტის, სახამებელ-ბადაგისა და კვების მრეწველობის სხვა ქარხნების ზონებში. თითქოს ამ საბჭოთა მეურნეობებს უნდა მოჰყავდეთ მეტი ტექნიკური კულტურები, ბოსტნეული და კარტოფილი. მაგრამ ასე როდი ხდება. ნათეს ფართობებში ტექნიკური კულტურები შეადგენს მხოლოდ 11 პროცენტს, მარცვლეული კულტურები — 44 პროცენტს, ხოლო საკვები კულტურები — 41 პროცენტს, მათ შორის მრავალწლიანი ბალახები — 25 პროცენტს.

სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებს ცოტა პირუტყვი ჰყავთ ყოველ 100 ჰექტარ ნახნავზე, მდელოებსა და საძოვრებზე. 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აქ მოდის მხოლოდ 17 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 5 ძროხა, და 100 ჰექტარ ნახნავზე — 18 სული ღორი. ამ სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე სახელმწიფოს აბარებენ 112 ცენტნერ რძეს და 19 ცენტნერ ხორცს დაკლულის წონით.

სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო ცუდად ავითარებს კვების მრეწველობის საწარმოთა ნარჩენებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასუქების საქმეს. ამ შესაძლებლობებს არ იყენებენ არც საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც წლითიწლობით აბარებენ სახელმწიფოს ბევრ გამხდარ პირუტყვს. უფრო მეტიც, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო არაერთგზის მიუმართავს მთავრობისათვის თხოვნით ნება დაერთო მისთვის ჩააბაროს ცუდად გასუქებული პირუტყვი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ცუდად წარმოებს ხორცის დამზადება. დამზადებული საქონელი ბევრს კარგავს წონასა და სიმსუქნეში, სანამ სასაკლაომდე მივიდოდეს, რის შედეგად დიდი დანაკარგია ხორცისა და ტყავის წონისა და ხარისხის მხრივ.

მეორე მხრივ დაშვებულია ძვირფასი საკვების — დურდოს, თხლისა და დღლაბის და კვების მრეწველობის სხვა ნარჩენების უდიდესი დანაკარგები. უთადაროგოდ იყენებენ ქატოსა და კოპტონს.

საჭიროა უკეთ გამოვიყენოთ დურდო იმ პირუტყვის გასასუქებლად, რომელიც კოლმეურნეობებიდან მოდის. უნდა გვქონდეს გასასუქებელი ბაზები, ვამარაგებდეთ მათ ქატოთი, კოპტონით, დურდოთი, დღლაბით და თხლით. გასუქების მოწყობით შეიძლება მივიღოთ მაღალხარისხოვანი ხორცის წონის დიდი მატება, გავაუმჯობესოთ ტყავის ხარისხი და სხვ.

1953 წელს კვების მრეწველობის საწარმოებში დაიკარგა 2 მილიონამდე ტონა საკვების ძვირფასი ნარჩენები (დურდო, თხლე, დღლაბი და სხვ.), რომლებიც თავისი ნოყიერებით უდრის 242 ათას ტონა მარცვლეულს.

ცუდად იყენებენ ღორების გასასუქებლად სასადილოებისა და ქალაქის სამზარეულოების საჭმლის ნარჩენებს. ეს საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სასადილოები, სანატორიუმები, საბავშვო სახლები, საავადმყოფოები, ჯარის ნაწილები და სხვები თვითონ ასუქებდნენ ღორებს. და გასუქებით მიღებული ხორცი ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა გამოიყენონ თავიანთ მუშაკთა კვების გასაუმჯობესებლად. ხოლო მატერიალური დაინტერესების შესაქმნელად გასუქებით მიღებული ხორცი უნდა გაიცეს საკვებად თვითღირებულების ფასებში.

საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ გაარკვეონ და უმოკლეს ვადაში კიდევაც უნდა გაარკვეონ და უფრო მეტადაც გაადიდონ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება, მათ შეუძლიათ გახდნენ და ნამდვილად უნდა გახდნენ მაღალრენტაბელური და სანიმუშო მეურნეობები.

უკვე უახლოეს 2-3 წელიწადში საბჭოთა მეურნეობები ვალდებული არიან პურის ჩაბარება აიყვანონ სულ ცოტა 500 მილიონ ფუთამდე და ამასთანავე გაადიდონ რაოდენობა ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა, რომლებსაც სახელმწიფოს აბარებენ. ეს საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ღირსების საქმეა.

## სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის წარსულ პლენუმზე გამომჟღავნებულ იქნა სერიოზული ნაკლოვანებანი მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. პლენუმის შემდეგ გასულ პერიოდში ჩვენ უფრო ღრმად შევისწავლეთ საქმის მდგომარეობა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში და გამოვამჟღავნეთ უყურადღებობის ახალი ფაქტები, რომელთა შესახებ მე მოვახსენე ამ პლენუმს. იბადება კითხვა, ვინ არის ამაში დამნაშავე? უწინარეს ყოვლისა ის ხელმძღვანელები, რომლებიც მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანზე იყვნენ.

საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობას დიდხანს მეთაურობდა ამხ. სკვორცოვი. ახლა თქვენ ხედავთ მისი ხელმძღვანელობის შედეგებს. მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში მიწას უყაირათოდ იყენებენ, რის გამო ჩვენს ქვეყანას აკლდება დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამხ. სკვორცოვი ნდობით სარგებლობდა, მაგრამ სინამდვილეში იგი ყოვლად უვარგისი ორგანიზატორი და ბეცი მუშაკი აღმოჩნდა. ეს სახელს როდი უხვევს მას. ამ ფაქტებიდან საჭირო დასკვნები უნდა გავაკეთოთ. არა გვგონია, რომ ამხ. სკვორცოვმა მომავალშიც ისარგებლოს ასეთი ნდობით. დიდად საეჭვოა, შეუძლია თუ არა მას, როგორც საბჭოთა მეურნეობების მინისტრის პირველ მოადგილეს, გამოასწოროს მდგომარეობა.

მაგრამ საქმე მარტო საბჭოთა მეურნეობები და ამხ. სკვორცოვი როდია. ამაში დამნაშავენი არიან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცალკეული მუშაკები და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელები, რომლებმაც დაუშვეს მიწების არასწორი გამოყენება ბევრ რაიონში. ისინი მოვალენი იყვნენ დროზე მოეხსენებინათ მთავრობისა და ცენტრალური კომიტეტისათვის საქმის მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში, დაესვათ გადაუდებელი საკითხები, ებრძოლნათ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, ნამდვილად კი ისინი ბევრ შემთხვევაში ჩქმალავდნენ ნაკლოვანებებს.

დაგეგმვის შეცდომების დაშვებაში დიდი ბრალი მიუძღვით ამხ. დემიდოვს — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც განაგებს სოფლის მეურნეობის საკითხებს, და ამხ. დმიტრიევს — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის დაგეგმვის სამმართველოს ყოფილ უფროსს. დემიდოვი და დმიტრიევი ხედავდნენ, რომ მარცვლეულის ნათესები კოლმეურნეობებში და განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებში მკვეთრად მცირდებოდა, მაგრამ ისინი არათუ არ ამხედრებულან ამის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, აქტიურად უჭერდნენ მხარს და ახორციელებდნენ ასეთ არასწორ, ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას. ახლა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკები ამბობენ: „დიახ, ეს მართლაც უმსგავსოებაა“. მაგრამ ეს უმსგავსოება ხომ გათვალისწინებული იყო გეგმებში, რომლებსაც ამხ. დემიდოვი და დმიტრიევი ამზადებდნენ. ეს მუშაკები იმ რაიონებში ნათესბალახიანი სისტემის დანერგვის აქტიური განმხორციელებლები იყვნენ, სადაც იგი სამეურნეო ეფექტს არ იძლევა, რამაც გამოიწვია მარცვლეული კულტურების თესვის მნიშვნელოვანი შეკვეცა და მარცვლეულის მოსავლის შემცირება. ამხ. დემიდოვი და განსაკუთრებით ამხ. დმიტრიევი სდევნიდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც ხმას იმაღლებდნენ არასწორი დაგეგმვის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ შეცვლილიყო სათესი ფართობების სტრუქტურა. საეჭვოა, რომ ამხ. დემიდოვმა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მუშაობით შეძლოს გამოასწოროს თავისი შეცდომები.

უნდა აღინიშნოს ამხ. ბენედიქტოვის — სოფლის მეურნეობის მინისტრის არასწორი მოქმედება. ამხ. ბენედიქტოვი აგრონომია, თავი გამოიჩინა როგორც ოპერატიულმა და პრინციპულმა მუშაკმა. როგორ არ მიაქცია დროზე ყურადღება ამ შეცდომებს, არ ამხედრდა მათ წინააღმდეგ? ჩანს, იგი ბიუროკრატიზმში ჩაეფლო.

კიდევ უფრო მეტად დამნაშავეა ამ შეცდომებში ამხ. კოზლოვი — სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრი. შეიძლება თქვან, რომ იგი ახალგაზრდა მინისტრია, სულ რამდენიმე თვეა, რაც ამ პოსტზე მუშაობს. მაგრამ მას წინანდელ სამუშაოზეც პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა სოფლის მეურნეობასთან და უშუალო გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის საკითხების გადაჭრაზე — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტზეც, სოფლის მეურნეობის სამინისტროზეც, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროზეც და სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებებზეც.

საჭიროა გადაჭრით ვამჟღავნებდეთ ნაკლოვანებებს ჩვენს მუშაობაში, გავაუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობა თავიდან ბოლომდე. ხოლო ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა ყველა მუშაკისა, რომლებსაც პარტიამ და მთავრობამ სოფლის მეურნეობის ორგანოებში მუშაობა მიანდეს.

სექტემბრის პლენუმმა დასახა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის გარდაქმნის ამოცანა. უკანასკნელ დროს განხორციელდა სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და დამზადებათა სამინისტროების რეორგანიზაცია. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ მცირე ნაწილია. თუმცა ამ სამინისტროების შტატები მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ მათი აპარატი მაინც დიდია და მისი მუშაობის სტილი ნაკლებად შეიცვალა.

სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები დღემდე მოწყვეტილი არიან მტს-ებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, იშვიათად არიან ადგილებზე. ნორმალურად არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ წარსული პლენუმის შემდეგ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი ერთხელაც არ ყოფილა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. იქ მიემგზავრებიან, როგორც წესი, რიგითი მუშაკები და ისიც ხშირად მხოლოდ იმისათვის, რომ შეაგროვონ სხვადასხვაგვარი ფაქტები და ზერელედ მოახდინონ გამოკვლევა. სამინისტროებში იშვიათად იჩენენ ინტერესს იმისადმი, თუ რა გააკეთეს მუშაკებმა, რომლებიც ოლქებსა და რაიონებში იყვნენ.

დღემდეც ადგილებისადმი ხელმძღვანელობა ხორციელდება უმთავრესად დირექტივებისა და ბრძანებების დაგზავნით. ხოლო თუ რა გზით მოაწყონ უკეთ მუშაობა მტს-ში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში,

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

[illegible]

...ამაზე ნათქვამია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელსაც თქვენ, ალბათ, ყველანი გაეცანით.

ჩვენ მტკიცედ უნდა გამოვამჟღავნოთ შეცდომები და ნაკლოვანებანი აპარატის მუშაობაში, აღმოვფხვრათ საქმისათვის მავნე კანცელარიულ-ბიუროკრატული ხელმძღვანელობის პრაქტიკა, გადავიყვანოთ ჩვენი კადრები სასარგებლო საქმეზე. ამასთან ერთად ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ შესრულების შემოწმება, უზრუნველვყოთ კადრების სწორი შერჩევა და განაწილება, გავადიდოთ ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა. საჭიროა აგრეთვე განვაგრძოთ მუშაობა აპარატის შემცირებისა და მისი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

გასაგებია, რომ ამ საქმის გადაჭრა იერიშით არ შეიძლება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აქ ჩვენ წავაწყდებით ბიუროკრატების ჯიუტ წინააღმდეგობას, რომლებიც მიეჩვიენ იმას, რომ საქმე მხოლოდ ქაღალდებთან ჰქონდეთ და უქაღალდებოდ ცხოვრება არ შეუძლიათ. ბიუროკრატები და საქმის გამჭიანურებლები არ გაქრებიან პირისაგან მიწისა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ გადაწყვეტილება გამოვიტანეთ. საჭიროა შეუპოვარი, გულმოდგინე, ენერგიული მუშაობა ისეთი დიდი ბოროტების აღმოსაფხვრელად, როგორიც ბიუროკრატიზმია. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია.

ჩვენ მმართველობის ცალკეული რგოლები უნდა მივუახლოოთ წარმოებას. ამას წინათ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უკრაინაში შეიქმნას შავი მეტალურგიის რესპუბლიკური სამინისტრო. უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ ამ სამინისტროს ადგილსამყოფელი იყოს არა კიევი, არამედ დნეპროპეტროვსკი. გათვალისწინებულია უკრაინაში შეიქმნას ქვანახშირის მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტრო. მისი ადგილსამყოფელიც, უკრაინის რესპუბლიკური ორგანიზაციების აზრით, უნდა იქნეს აგრეთვე არა კიევი, არამედ სტალინო ან არტემოვსკი, რათა დონბასის ცენტრში იყოს. მართებულია აქ გავიხსენოთ, რომ სამოქალაქო ომის შემდეგ ქვანახშირის მრეწველობის სამმართველოს ცენტრი ვ. ი. ლენინის მითითებით ქალაქ არტემოვსკში იყო.

ამ უკანასკნელ წლებში ბევრი მთავარი სამმართველო დაშორდა საწარმოებს, რომლებსაც მათ უნდა უხელმძღვანელონ, და დაბინავდა მოსკოვში. ამას წინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაუსწორა ეს სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს, რომელმაც მოსკოვში მოათავსა სამხრეთ აზიისა და ჩრდილოეთ აზიის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო. და აი ამ სამმართველოს მუშაკები მოსკოვში ისხდნენ და აქედან ისროდნენ თავის „ქაღალდის ბადეს".

და ამავე დროს რამდენია კიდევ ისეთი მთავარი სამმართველო, რომლებიც საქმის სასარგებლოდ უნდა მივუახლოოთ წარმოებას! ეს უნდა გაკეთდეს სასოფლო-სამეურნეო ორგანოებშიც.

ავიღოთ, მაგალითად, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო. მას აქვს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო. ამ საბჭოთა მეურნეობების უმეტესი ნაწილი უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკებშია. ხოლო სად არის ამ საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო? მოსკოვში. განა უკეთესი არ იქნებოდა მოგვეთავსებინა იგი ერთ-ერთ დასახელებულ რესპუბლიკაში? ამავე სამინისტროს მოსკოვში აქვს ღაფნეულის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, ხოლო ტრესტის საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა ყირგიზეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკებშია.

ან ავიღოთ რუსეთის ფედერაციის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო. სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მოსკოვში არის აღმოსავლეთის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს ზღვისპირეთის, ხაბაროვსკის, კრასნოიარსკის მხარეების, ირკუტსკის, ჩიტის ოლქების საბჭოთა მეურნეობებს. მოსკოვშია დასავლეთ ციმბირის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო. განა უმჯობესი არ იქნებოდა აღმოსავლეთის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო მოგვეთავსებინა, ვთქვათ, ირკუტსკში, ხოლო დასავლეთ ციმბირის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო, მაგალითად, ნოვოსიბირსკში? ეს შესაძლებლობას მისცემდა მთავარი სამმართველოების მუშაკებს უფრო ხშირად ყოფილიყვნენ საბჭოთა მეურნეობებში, შეესწავლათ მათი ცხოვრება, პასუხი გაეცათ ადგილებიდან შემოსულ შეკითხვებზე. თავის მხრივ საბჭოთა მეურნეობებისა და ტრესტების მუშაკებსაც უფრო ხშირად შეეძლებოდათ მისულიყვნენ მთავარ სამმართველოში.

ასეთი მაგალითები შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ სხვა სამინისტროების შესახებაც. მმართველობის ორგანოების წარმოებასთან მიახლოებისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა გადაისინჯოს მთავარი სამმართველოებისა და ტრესტების განლაგება.

საჭიროა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რომ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას. სექტემბრის პლენუმის შემდეგ რამდენადმე გაუმჯობესდა მეცნიერების მიღწევათა და სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ ცოტა რამეა გაკეთებული.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ბევრი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანო არ იჩენენ საჭირო ოპერატიულობასა და ბეჯითობას საკოლმეურნეო წარმოებაში ახალი ხერხებისა და მეთოდების დასანერგავად, ცუდად განაზოგადებენ მოწინავე გამოცდილებას, რის შედეგადაც სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდას ბევრ შემთხვევაში ზოგადი, არაკონკრეტული ხასიათი აქვს და მოწყვეტილია ცხოვრებას.

ჯერ კიდევ ცოტა გამოდის კარგი წიგნი, ბროშურა და პლაკატი მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევებზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის ზონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, ხოლო გამოშვებული წიგნები და ბროშურები ხშირად დაწერილია ზერელედ და არ გვიჩვენებენ მოწინავეთა მუშაობის მეთოდებს.

ცალკე უნდა ითქვას სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობაზე. საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას მნიშვნელოვანი დამსახურება აქვს სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარების საქმეში. საბჭოთა მეცნიერებმა ბევრი რამ სასარგებლო აღმოაჩინეს, რაც ფართოდ ინერგება წარმოებაში. ჩვენს ქვეყანაში გაიზარდნენ მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სამეცნიერო დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობაში ცოტა არსებითი ნაკლი როდია. ბევრი ინსტიტუტი და საცდელი სადგური ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული კოლმეურნეობებთან, მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან. ზოგიერთ ინსტიტუტში მუშაობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მიეტმასნენ მეცნიერებას, არ გამოდგნენ პრაქტიკულ მუშაობაში. მაგალითად, ავიღოთ იგივე ამხ. დმიტრიევი, რომელმაც ცოტა ზიანი როდი მიაყენა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს. მას შემდეგ, რაც დმიტრიევი გაათავისუფლეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მუშაობისაგან, მას წინადადება მისცეს სამუშაოდ წასულიყო სამხრეთის ერთ-ერთ მტს-ში ან საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მას შეეძლო პრაქტიკულად დარწმუნებულიყო, შეიძლება თუ არა, მაგალითად, ხერსონის ოლქში ნარევბალახეულის უხვი მოსავლის მოყვანა. მაგრამ მან თავი დაიძვრინა, შევიდა მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში და, სარგებლობდა რა აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მფარველობით, ცდილობდა მიეღო ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მუშაობს რა ეკონომიკის ინსტიტუტში, ეს ეაი-მეცნიერი გმირივით დაიარება და ყველას არიგებს, თუ როგორ უნდა სოფლის მეურნეობის გაძღოლა, კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტში, ერთი სიტყვით, „ამდიდრებს" მეცნიერებას. ჩვენ ჯერ მხოლოდ განვიხილავთ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საკითხს, ხოლო ამხ. დმიტრიევი ისწრაფვის წაიკითხოს საჯარო ლექციები ამ საკითხზე. გასაგებია, რომ ჩვენი მეცნიერება სარგებლობას ვერ ნახავს ასეთი „მეცნიერი" ადამიანებისაგან.

და განა ეს მაგალითი ერთადერთია? სამწუხაროდ, არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მეცნიერ მუშაკებს უწოდებენ, მაგრამ რომლებსაც მეცნიერებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ.

საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ სამეცნიერო დაწესებულებებს, გავუწიოთ დახმარება მეცნიერ მუშაკებს, ხოლო ისინი, ვინც სამეცნიერო დაწესებულებებში შემთხვევით მოხვდა და არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ, თავიდან მოვიშოროთ.

ყოველდღიურად ჩავწვდებით რა სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის შინაარსს, საჭიროა აგრეთვე ვნახოთ, სად არიან ისინი განლაგებულნი. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, აქაც ბევრ კურიოზს აღმოვაჩენთ.

შაქრის ჭარხალი, როგორც ცნობილია, მოჰყავთ უმთავრესად უკრაინაში და ცენტრალური შავმიწაგიანი ზონის სამხრეთ რაიონებში, ხოლო შაქრის ჭარხლის მემინდვრეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი მოსკოვს ახლოა, ლენინის რაიონში. არის თუ არა იმის საჭიროება, რომ ეს ინსტიტუტი მოსკოვის ახლოს იმყოფებოდეს? არა გვგონია. ალბათ იგი აქ იმიტომ არის, რომ ზოგიერთი მუშაკი მეცნიერების ინტერესებით როდი ხელმძღვანელობს.

აქვე, მოსკოვთან, არის მეფუტკრეობის ინსტიტუტი. საბრალო ფუტკარი! მას მუდამ ხვევენ ქიმიური ქარხნების კვამლში, ხოლო თქვენ იცით, რომ ფუტკარს ძლიერ არ უყვარს კვამლი. მაგრამ ფუტკრის ინტერესები და საქმის ინტერესები ეწინააღმდეგებიან ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელი მუშაკების ინტერესებს. ისინი ცოტაოდენ თაფლს აგროვებენ, მაგრამ მათთვის სავსებით ხელსაყრელია გეოგრაფიული სიახლოვე მოსკოვთან, სადაც შეუძლიათ დედაქალაქის მაღაზიებში დამატებით იყიდონ შემოტანილი თაფლი. საკითხავია, განა ფუტკარი თავს უკეთ არ იგრძნობდა, ინსტიტუტი რომ სხვა ოლქში იყოს? შემდეგ, რა აზრი აქვს მოსკოვში ეთერ-ზეთოვანი კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ყოფნას? ზეთოვანი კულტურების მოყვანა ხომ თავმოყრილია უმთავრესად სამხრეთ რაიონებში.

საჭიროა, ამხანაგებო, ჩავერიოთ ამ საქმეში და გამოვასწოროთ მდგომარეობა. სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები და საცდელი სადგურები უნდა განლაგდეს იმ ზონებში, სადაც უმთავრესად მოჰყავთ ის კულტურები, რომლებსაც ეს ინსტიტუტი თუ საცდელი სადგური სწავლობს.

ჩვენი ქვეყნის ყოველ რესპუბლიკაში, ყოველ ოლქში არის სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული მუშაობის პირობები. სახელმწიფო იძლევა საჭირო მატერიალურ სახსრებს. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — სურვილი შევისწავლოთ სოფლის მეურნეობა და წინ წავწიოთ მეცნიერება. შეიძლება დავასახელოთ ათობით მაგალითი, როცა მეცნიერები, მუშაობდნენ რა ცენტრის დაშორებით, თავიანთი მეცნიერული აღმოჩენებით სახელი გაითქვეს მთელ მსოფლიოში. ჩვენი პარტია აფასებს მეცნიერებას, რადგან, თუ მეცნიერება არ იქნა, ჩვენ წინ ვერ წავიწევთ. საბჭოთა მთავრობა დახმარებას უწევდა და ყოველი ღონისძიებით გაუწევს დახმარებას მეცნიერებს, უქმნიდა და კვლავ შეუქმნის მათ შემოქმედებითი მუშაობის ყველა პირობას. მაგრამ ჩვენ იმ ცრუმეცნიერთა წინააღმდეგი ვართ, რომლებიც მიეტმასნენ მეცნიერებას და ჰგონიათ, რომ მეცნიერული მუშაობა ჩაკვდება, თუ ინსტიტუტი არ იქნა მოსკოვში, სოჭში ან პიატიგორსკში მაინც.

## ავამაღლოთ სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე

აწყობს რა ბრძოლას სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და რაიონული კომიტეტების განმტკიცებას, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში მათი მუშაობის გაუმჯობესებას.

ბუნებრივია, რომ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას იმ რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების პარტიული ორგანოების საქმიანობას, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარებაში დაშვებულია დიდი ნაკლოვანებანი. სექტემბრის პლენუმის შემდეგ ცენტრალურ კომიტეტში მოსმენილ იქნა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბაშკირეთის, ტულის, კოსტრომის, მოლოტოვის, ასტრახანის, ვორონეჟის, ნოვგოროდის, ველიკიე ლუკის, კალინინის, ბრიანსკის, სმოლენსკის, ყირიმის, ორიოლისა და იაროსლავლის საოლქო კომიტეტების მოხსენებანი.

ამა თუ იმ პარტიული კომიტეტის მუშაობის განხილვისას ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ვიწვევდით პარტიული კომიტეტის ბიუროს ყველა წევრს, ვისმენდით მათს ინფორმაციას, თუ რა მდგომარეობაშია საქმეები ოლქში, მხარეში, რესპუბლიკაში, უმთავრესად სოფლის მეურნეობის მდგომარეობის თვალსაზრისით.

განვიხილავდით რა საკითხს ბიუროს წევრებთან ერთად, ვამჟღავნებდით ნაკლოვანებებს, ვაკეთებდით საერთო დასკვნებს, მაგრამ გადაწყვეტილება კი არ გამოგვქონდა, არამედ ვთანხმდებოდით იმაზე, რომ მოეწვიათ პარტიული კომიტეტის პლენუმი და განეხილათ წამოჭრილი საკითხები. პლენუმზე მიდიოდა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი და თავის გამოსვლაში აღნიშნავდა გამომჟღავნებულ ნაკლოვანებებს. ასეთი წესი ხელს უწყობს იმას, რომ გადიდდეს პარტიული აქტივისა და პარტიის ყველა წევრის პასუხისმგებლობა პარტიული საქმისათვის.

საოლქო, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მუშაობის განხილვამ ცენტრალურ კომიტეტში ცხადყო, რომ, თუმცა ყურადღება სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებისადმი ყველგან გაძლიერდა, მაგრამ, ზოგიერთი ოლქის საოლქო კომიტეტების მდივნებსა და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეებს არ გაუკეთებიათ თავისთვის ყველა დასკვნა პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ნოვგოროდის, კალინინის, კოსტრომის, მოლოტოვისა და ზოგიერთი სხვა ოლქის ხელმძღვანელებს. მათ არ გარდაუქმნიათ თავიანთი საქმიანობა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად, ხელი არ აუღიათ საერთოდ და მთლიანად ხელმძღვანელობაზე, არ გადასულან კონკრეტულ, საქმის ცოდნაზე დამყარებულ ხელმძღვანელობაზე, არ შეუსწავლიათ მოწინავე კოლმეურნეობათა მეურნეობა და გამოცდილება. გამოირკვა, რომ მათ არ იციან, თუ რა საწარმოო ხერხები იძლევა უკეთეს შედეგებს. ხოლო თუ ეს პირობები არ არის, ხელმძღვანელს ნამდვილი ძალა არა აქვს, მას არ შეუძლია გაიყოლიოს სხვები, ასწავლოს მათ, წაუყენოს საჭირო მოთხოვნები.

რა ხელმძღვანელობა შეიძლება იყოს, თუ ადამიანი, როცა იგი მიმართავს იმათ, ვისაც ხელმძღვანელობს, იძულებულია დაკმაყოფილდეს საერთო მოწოდებით, რომ საჭიროა სათოხნი კულტურების დამუშავების მექანიზაცია, ხოლო როცა ასეთ ხელმძღვანელს ჰკითხავენ, რა არის სათოხნი კულტურები, რომელია ეს კულტურები ან რა არის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი და როგორ უნდა მივიღოთ კვადრატი, ის ვერ უპასუხებს ან იძლევა დაბნეულ, გაუგებარ პასუხს. ხელმძღვანელთა ასეთ კატეგორიას ეკუთვნიან ამ პლენუმის დამსწრე მოლოტოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლსკი, რომელიც მუშაობს მესელეობის ოლქში და, მიუხედავად ამისა სელი სათოხნ კულტურად მიაჩნია; კოსტრომის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ხორკოვი და სხვები.

ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, რომლებიც არ იცნობენ სოფლის მეურნეობას და არა სურთ ჯეროვნად შეისწავლონ იგი, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავარდნენ, ცდილობენ უფრო იშვიათად შეხვდნენ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, გაურბიან ადგილებზე წასვლას.

რა თქმა უნდა, დირექტივის ხელმოწერა, ტრიბუნაზე გამოსვლა, ზოგადი მიზანდასახულობის გამეორება, მოწოდების გამოქვეყნება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მიღებული გადაწყვეტილების საქმით შესრულების მოწყობა. ხელმძღვანელი, რომელმაც დირექტივას ხელი მოაწერა, ხომ კაბინეტში რჩება, ტრიბუნიდან ჩამოსული პრეზიდიუმში ბრუნდება და მაშინაც კი, როცა საკითხი არ იცის, შეუძლია თავი ხელშეუვალად იგრძნოს. სხვა საქმეა, თუ ასეთი ხელმძღვანელი კოლმეურნეთა შორის აღმოჩნდა მინდორში, ფერმაში, იქ შეუძლიათ მას მისცენ კონკრეტული კითხვები, და ყველა დაინახავს, რომ მან საქმე არ იცის.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების ანგარიშების განხილვისას გამოირკვა, რომ ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანო ცუდად იყენებს არსებულ შესაძლებლობებს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამას თვალნათლივ მოწმობს მდგომარეობა ყაზახეთის სს რესპუბლიკაში. ზემოთ უკვე აღვნიშნე, თუ რა ვრცელი მიწები აქვს რესპუბლიკას, თუ რა ხელსაყრელი პირობებია იქ მეცხოველეობის განვითარებისათვის. ყაზახეთს შეუძლია მოგვცეს პური არანაკლები, ვიდრე უკრაინას, ხორცი და მატყლი რამდენჯერმე მეტი, ვიდრე უკრაინას. ყაზახეთს შეუძლია მოგვცეს დიდძალი ბამბა, ხილი, შაქარი და სხვა პროდუქტები. მას აქვს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების გადიდების დიდი შესაძლებლობანი — იქ ბევრია ქვანახშირი, სპილენძი და სხვ.

უნდა ვაღიაროთ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა უკანასკნელ დრომდე სუსტი იყო. ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ამხ. შაიახმეტოვი, მე მგონია, პატიოსანი კაცია და ამ მხრივ არავინ არ უყენებს მას არავითარ პრეტენზიას, მაგრამ ასეთი დიდი რესპუბლიკისათვის იგი სუსტი ხელმძღვანელი იყო.

ამჟამად ყაზახეთის სოფლის მეურნეობის წინაშე დაისახა ახალი დიდი ამოცანა — აითვისოს 6 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწა. რესპუბლიკაში პარტიული ხელმძღვანელობის გაუუმჯობესებლად ძნელია ვიქონიოთ ამ რთული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის იმედი. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოწვეულ იქნენ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები. მათთან ერთად ჩვენ განვიხილეთ საკითხი, რა უნდა ვიღონოთ იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე. განხილვის შედეგად მივედით ერთსულოვან დასკვნამდე, რომ პარტიული ხელმძღვანელობა რესპუბლიკაში განმტკიცებას მოითხოვს. ეს საკითხი დავსვით ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად. პლენუმმა გადაწყვიტა განემტკიცებინა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, გაეთავისუფლებინა მდივნების მოვალეობისაგან ამხ. შაიახმეტოვი და ამხ. აფონოვი. ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. პონომარენკო და მეორე მდივნად — ამხ. ბრეჟნევი.

უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრებმა მნიშვნელოვნად უფრო მწვავედ შეაფასეს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება, ვიდრე ბიუროს წევრებმა, როცა ისინი მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამ საკითხის განხილვაში.

ასევე მწვავედ მიმდინარეობდა პარტიული ხელმძღვანელობის საკითხების განხილვა ყაზახეთის კომპარტიის ყრილობაზეც. რესპუბლიკის კომუნისტებმა გამოიჩინეს რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანებისა და იმ პასუხისმგებლობის ღრმა გაგება, რომელიც ყაზახეთის პარტიულ ორგანიზაციას ეკისრება.

ამხანაგებო! ცენტრალურ კომიტეტს მოსდის ბევრი წერილი იმის შესახებ, რომ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ცენტრებში დაუსრულებლად იძახებენ მუშაკებს რაიონული ცენტრებიდან, მტს-ებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან სხვადასხვაგვარ თათბირებსა და სხდომებზე. ამას ბოლო უნდა მოეღოს. წამდაუწუმ კი არ გამოვიძახოთ ადამიანები ადგილებიდან, არამედ წავიდეთ ადგილებზე, უფრო ხშირად ვინახულოთ მტს-ები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ორგანიზატორულ საქმიანობაზე — აი რა მოეთხოვებათ ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მუშაკებს.

ღრმად ფესვგადგმული მიდრეკილება სხდომებისადმი, ჯლაბნისადმი იმას იწვევს, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი კარგავს უნარს გაერკვეს ცხოვრების მოვლენებში, იწყებს მსჯელობას საქმის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ ნაკრები ცნობების მიხედვით. ისინი დაუსრულებლად წერენ თვითონ, აწერინებენ სხვა მუშაკებს, მოითხოვენ პასუხს თავის დირექტივებზე. საქმე იქამდე მიდის, რომ ბევრი ზოოტექნიკოსი და აგრონომი, რომლებიც კოლმეურნეობებში იგზავნებიან, დროის მეტ ნაწილს ახმარენ ნაკრები ცნობების შედგენას. ადგენენ ნაკრებ ცნობას და უგზავნიან მას ზემდგომ ინსტანციას. იქ იწყება ამ ნაკრები ცნობის შესწავლა, მისი ანალიზი და განზოგადება, ხოლო შემდეგ ახალი დირექტივის შედგენა ამ ნაკრები ცნობის საფუძველზე. რა არის ეს, ამხანაგებო, თუ არ წყლის ნაყვა? გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ხელმძღვანელობის ასეთი მეთოდების წინააღმდეგ.

შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა ბევრი შეცდომა და ნაკლი კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონული კომიტეტების მუშაობაში, უკეთ რომ გვქონდეს დაყენებული პარტიული და საბჭოთა კადრების შერჩევის საქმე.

ხშირად უვარგისი მუშაკი ერთი ოლქიდან გადაჰყავთ მეორე ოლქში, ნაცვლად იმისა, რომ გაგზავნონ იგი ძირეულ სამუშაოზე. ისეც ხდება, რომ, თუ არ შეიძლება იმ მუშაკის გაგზავნა სხვა ოლქში, რომელმაც საქმე ჩაფუშა, მას რეკომენდაციას აძლევენ წლიურ კურსებზე, უმაღლეს პარტიულ სკოლაში ან საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში გასაგზავნად. და აი, როცა ასეთი მუშაკი ამთავრებს კურსებს ან სკოლას და მოდის პარტიულ კომიტეტში, იქ არ იციან, სად გაგზავნონ იგი, რადგან იმ ორგანიზაციაში, საიდანაც ის მოვიდა, მას არ იღებენ, ხოლო მისი სხვა ადგილზე გაგზავნა სახიფათოა, — საქმეს თავს ვერ გაართმევს. ეს ლიბერალიზმი პარტიის ინტერესების საზიანოა და ვნებს საქმეს. კადრების მომზადებისა და შერჩევისადმი ასეთი დამოკიდებულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს და იგი დასაგმობია.

ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ისეთი ნაკლი, როცა ადგილობრივი პარტიული ორგანოების მუშაობის საკითხის განხილვისათვის მომზადების დროს დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვაგვარი მასალების შეგროვებას. ამ მასალების საფუძველზე ადგენენ ტრაფარეტულ რეზოლუციებს. თუ ავიღებთ რამდენიმე წლის საქმეებს და გადავსინჯავთ მათ, აღმოჩნდება, რომ ხუთი წლის წინათ შედგენილი რეზოლუცია და რამდენიმე თვის წინათ შედგენილი რეზოლუცია ერთმანეთს გვანან. თუ ამოვშლით რაიონებისა და ქალაქების სახელწოდებას, ეს რეზოლუციები შეიძლება შეეხამოს ყოველ რაიონს. ამ რეზოლუციებში ყველაფერი შელამაზებულია, მწვავე ადგილები შერბილებულია. ასეთი რეზოლუცია ვერაფერს ვერ გვასწავლის, არავის არ აკრიტიკებს, შეიძლება გამოდგეს მხოლოდ უსაგნო მოწოდებად, საქმის მდგომარეობას კი ვერ აუმჯობესებს.

საკითხები უფრო მწვავედ უნდა დავსვათ, უფრო ღრმად შევისწავლოთ საქმე და მთავარი ყურადღება მივაქციოთ არა მასალების შეგროვებას, არამედ პარტიის რაიკომების ინსტრუქტაჟს, ინსპექტირებას ისე, რომ აპარატის მუშაკთა ენერგია იხარჯებოდეს არა ქაღალდების შედგენაზე, არამედ ცოცხალი ადამიანების ადგილობრივ ინსტრუქტაჟზე, კონკრეტულ საქმეებზე.

სოფლის რაიონებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნეს დააწვრილერთეულონ რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ყველაზე დიდი ოლქები. შექმნილია ახალი ოლქები — არზამასის, ბალაშოვის, ბელგოროდის, კამენსკის და ლიპეცკის ოლქები. რამდენადმე უფრო ადრე შეიქმნა მაგადანის ოლქი, უკრაინის სსრ შემადგენლობაში შექმნილია ახალი ჩერკასის ოლქი. იზმაილის ოლქი, როგორც მცირე ოლქი, გაუქმებულია და შევიდა ოდესის ოლქის შემადგენლობაში.

ბელორუსიის რესპუბლიკაში განხორციელებულია ოლქების გამსხვილება, სადაც ახლა 12 პატარა ოლქის ნაცვლად არის 7 უფრო დიდი ოლქი. გამსხვილების შედეგად განთავისუფლდა დაახლოებით 11 ათასი მუშაკი საოლქო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა აპარატებიდან, რაც შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად განვამტკიცოთ ხელმძღვანელი კადრებით რესპუბლიკის რაიონები, მტს-ები და კოლმეურნეობები.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების დასასრული

შევეხები პარტიის რაიკომების მუშაობის ზოგიერთ საკითხს. პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის გარდაქმნა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ფორმალურად რომ მივუდგეთ ამ საქმეს, მეტმა წილმა, ხოლო შესაძლოა, ყველა საოლქო კომიტეტმაც შეარჩიეს რაიკომების მდივნები მტს-ების ზონების მიხედვით, გამოჰყვეს ინსტრუქტორები. გარეგნულად თითქოს ყველაფერი კარგად არის. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი სიკეთეა. მტს-ებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ გამოყოფილი ადამიანების დონე, მათი მომზადება ყოველთვის როდი შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც აკისრიათ მათ როგორც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უშუალო ორგანიზატორებს მტს-ების ზონის კოლმეურნეობებში.

რაიკომების ბევრი მდივანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებში იმყოფება გავლით, როგორც იშვიათი სტუმარი. ჩავლენ იქ, მოაწყობენ თათბირს და მიეშურებიან შინ, რაიონულ ცენტრში, რომ ვახშამზე არ დაიგვიანონ.

ამას წინათ ცენტრალური კომიტეტის მუშაკებმა შეისწავლეს კოსტრომის ოლქის გალიჩის პარტრაიკომის მუშაობა. აღმოჩნდა, რომ რაიონში ყოველ 2-3 დღეში ეწყობა რაიმე სხდომა და ამ სხდომაზე იწვევენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ბრიგადირებს. ადამიანები პირდაპირ გმინავენ ამ თათბირების გამო, რომლებსაც, როგორც რაიონში ამბობენ, ახლა აწყობენ „ორმაგი წევით" — რაიონულ ცენტრსა და მტს-ში. პრონინის მტს-ის ვეტერინარი ექიმი ამხ. ბრიანცევი აღშფოთებით ამბობს:

„ახლა ვეტერინარი მუშაკებისათვის ყველაზე პასუხსაგები მომენტი დადგა — დაიწყო ხბოს მოგება და ცხვრის დოლი, ჩვენ კი, ვეტერინარ მუშაკებს, ხან რაიონში გამოგვიძახებენ, ხან მტს-ში და სამ-ოთხ დღეს გვამყოფებენ თათბირებსა და სემინარებზე. ბოლოს და ბოლოს, როდისღა შეიძლება ვიმუშაოთ?"

ცოტა ხნის წინათ პარტიის რაიკომმა გადაწყვიტა მოეწყო აგიტატორების რაიონული თათბირი. მაგრამ არავითარი მზადება თათბირისათვის რაიკომს არ გაუწევია, და ეს თათბირი უთუოდ ჩაიშლებოდა, „ბედნიერი" შემთხვევა რომ არა. თათბირისათვის დანიშნულ დღეს რაიაღმასკომში გამოიძახეს მეცხოველეობის მუშაკები. ამრიგად, ქალაქში აღმოჩნდა 400 კაცი კოლმეურნეობებიდან. რაიაღმასკომის თავმჯდომარესთან რაიკომის მდივნის ხანგრძლივი დავის შემდეგ გადაწყდა მოეწყოთ არა მეცხოველეობის თათბირი, არამედ აგიტატორების რაიონული თათბირი. როცა დამსწრეთ გამოუცხადეს, რომ ისინი აგიტატორების თათბირზე იმყოფებიან, უმრავლესობას ძლიერ გაუკვირდა. რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ნასონოვმა მათ წაუკითხა თავისი ძველი მოხსენება ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შესახებ, დახურა თათბირი და ანგარიში წარუდგინა საოლქო კომიტეტს.

ბევრი მომხსენებელი, რომლებიც რაიკომმა გამოჰყო, რათა განემარტათ კოლმეურნეებისათვის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ადგილებზე არ გამგზავრებულა. შედეგი ის იყო, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში კოლმეურნეები დღემდე ვერ გასცნობიან პლენუმის დადგენილებას, იციან იგი მხოლოდ ყურმოკრულად. იმ კოლმეურნეობებში, სადაც მოხსენებები მოაწყეს, კრებებს ესწრებოდა კოლმეურნეთა სულ ბევრი 30-40 პროცენტი, რადგან მოხსენებები და ლექციები იკითხებოდა მარტო კოლმეურნეობათა ცენტრალურ კარმიდამოებში. მომხსენებლები არ მისულან საწარმოო ბრიგადებამდე, მცირე დასახლებულ პუნქტებამდე.

რაიკომის მდივანი პრონინის მტს-ის ზონაში ამხ. სმირნოვი ორჯერ იყო კოლმეურნეობა „კოლოსში". მაგრამ მან დახმარება არ გაუწია კოლმეურნეობის გამგეობას, რომ უკეთ მოეწყო მზადება საგაზაფხულო თესვისათვის. კოლმეურნეობაში ბევრი ნაკლია, რომლებისთვისაც ამხ. სმირნოვს ყურადღება არ მიუქცევია. იანვარში მან 8 დღეში მოასწრო ყოფილიყო ოთხ კოლმეურნეობაში, შვიდ დღეს დარჩა მტს-ის კარმიდამოში, ამასთან ტრაქტორისტებს მხოლოდ ერთხელ ესაუბრა. თვის დანარჩენი 15 დღე ამხ. სმირნოვმა გაატარა თათბირებსა და სხდომებზე პარტიის რაიკომში, რომელიც მტს-ს დაშორებულია 25 კილომეტრით. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ერთხელაც არ გაუკეთებია პოლიტიკური მოხსენება კოლმეურნეთათვის. ასე მუშაობს რაიკომის მდივანი სტეპანოვსკის მტს-ის ზონაში ამხ. ზაგრევსკიც, რომელმაც იანვარში ექვს დღეს შემოიარა 6 კოლმეურნეობა და თვითეულში რამდენიმე საათს დაჰყო. დანარჩენ დროს იგი იმყოფებოდა რაიკომში თათბირებსა და სხდომებზე.

მას შემდეგ, რაც პარტიის რაიკომების მუშაკები გაანაწილეს მტს-ების ზონების მიხედვით, რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნასონოვი სულაც არ ყოფილა კოლმეურნეობებში და თავისი ფუნქციები რაიკომში მიმსვლელთა მიღებით შეზღუდა.

ეს ნაკლოვანებები ახასიათებს პარტიის ბევრ სასოფლო რაიკომს.

პარტიის სასოფლო რაიკომების გარდაქმნაში პირველხარისხოვან როლს ასრულებს არა მარტო საკითხის რაოდენობრივი მხარე — რამდენი ადამიანია შერჩეული და რა პოსტებზე არიან ისინი განაწილებულნი. მთავარია ადამიანთა მომზადების საკითხი. საჭიროა, რომ რაიკომების მუშაკებს კარგად ესმოდეთ მათ წინაშე მდგომი ამოცანები, ერკვეოდნენ საკოლმეურნეო წარმოებაში, შესწევდეთ უნარი იმუშაონ ადამიანებთან, უყვარდეთ პარტიული მუშაობა. ხოლო პარტიული მუშაობის სიყვარული იმას ნიშნავს, რომ გიყვარდეს მუშაობა მასებთან, იცნობდე მათს ინტერესებს, მუდამ იყო კოლმეურნეებთან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან, რაზმავდე მათ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, ეხმარებოდე საქმის გაუმჯობესებაში.

პარტიის რაიკომების ბევრი მდივანი, საოლქო კომიტეტების მაგალითისამებრ, გატაცებულია თათბირებით. პირდაპირ ქანცი გაუწყვიტეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, კოლმეურნეობების, მტს-ების მუშაკებს ყოველგვარი თათბირებითა და სხდომებით.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაც მეტია რაიონში თათბირი, მით უფრო მაღალია პარტიული მუშაობის დონე. მთავარია მუშაობა ყოველ კოლმეურნესთან, კოლმეურნეთა ჯგუფთან. ასეთი მუშაობა ყველაზე ნაყოფიერია.

არ შეიძლება ჩვენ გავლენას არ ვახდენდეთ ნაკლებ შეგნებულ, ნაკლებ განვითარებულ, ჩამორჩენილი განწყობილების ადამიანებზე. ამ ადამიანებს ჩვეულებრივ ცოტა შრომადღეები აქვთ გამომუშავებული. თუ კოლმეურნეობაში მცირე მოსავლიანობა და მეცხოველეობის მცირე პროდუქტიულობაა, კოლმეურნეობები იღებენ მცირე შემოსავალს, მცირეა შრომადღის ანაზღაურება. ასეთ კოლმეურნეობებში უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ ადამიანებთან, ვიდრე ძლიერ კოლმეურნეობებში. და აქ უმთავრესია ინდივიდუალური მუშაობა, რათა დღეს ჩამორჩენილი ადამიანები სუსტ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის გადალახვისათვის აქტიური მებრძოლები გავხადოთ. უნდა დავარწმუნოთ ეს ადამიანები, რომ მხოლოდ მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებით შეიძლება გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობის, ყველა კოლმეურნისა და ყოველი ცალკეული კოლმეურნის კეთილდღეობა.

პარტიის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში უნდა ეხმარებოდეს ადამიანებს უკეთ მოაწყონ საკოლმეურნეო წარმოება ბრიგადებში, რგოლებში, მეცხოველეობის ფერმებში, რომ ადამიანებს იგი მიაჩნდეთ ორგანიზატორად, მუდამ გრძნობდნენ მის დახმარებას. იქ, სადაც მას არ შეუძლია თვითონ გაერკვეს რთულ სასოფლო-სამეურნეო საკითხებში, უნდა მოიწვიოს კოლმეურნეობათა აგრონომები, მტს-ის მთავარი აგრონომი. თუ საკითხი უფრო რთულია — შეეკითხოს მცოდნე ადამიანებს საოლქო ცენტრში, მოიწვიოს გამოცდილი მუშაკები გარედან, მაგრამ საქმე დააბოლოოს. პარტიული მუშაკი ბეჯითი უნდა იყოს მიზნის მიღწევაში, იჩენდეს სიმტკიცეს, რათა გატეხოს, დაძლიოს ყველაფერი, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის აღმავლობას, და მიაღწიოს ყოველი ბრიგადის, კოლმეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებას, მიაღწიოს კოლმეურნეობებში მოსავლიანობის ზრდას, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას. ეს არის მთავარი ამოცანა პარტიის რაიკომების მდივნებისა მტს-ების ზონებში.

მაშასადამე, ნაკლებ დროს უნდა ვატარებდეთ კანცელარიებსა და კაბინეტებში, უფრო მეტს ვმუშაობდეთ ადამიანებთან, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ვეხმარებოდეთ მათ პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში, ვაწარმოებდეთ პოლიტიკურ მუშაობას მასებში.

პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის გარდაქმნასთან დაკავშირებით შეიცვალა რაიკომის პირველი მდივნის როლიც, გადიდდა მისი მოვალეობა. მაგრამ ზოგიერთ რაიკომის პირველ მდივანს ეს არ ესმის. მათ მიაჩნიათ, რომ თუ ახლა არიან პარტიის რაიკომების მდივნები თვითეული მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში სამუშაოდ, პირველი მდივნების როლი სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში შემცირდა.

თუ რაიკომის პირველ მდივანს არა სურს „ჩაერიოს" მტს-ებისა და კოლმეურნეობების საქმიანობაში, რაიკომის ასეთი მდივნისაგან კარგს არაფერს არ უნდა მოველოდეთ. რაიკომის პირველი მდივნის, ისევე როგორც რაიაღმასკომის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა მტს-ებისა და კოლმეურნეობების საქმეებისათვის განუზომლად იზრდება. იგი არ უნდა გაექცეს პასუხისმგებლობას, არ უნდა ჩამოშორდეს თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ის ხელმძღვანელობას.

როგორც ცენტრალური კომიტეტისათვის ცნობილი გახდა, ზოგიერთ რაიკომში დავობენ, — სად უნდა იცხოვრონ პარტიულმა მუშაკებმა, რომლებიც გამოყოფილი არიან მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში სამუშაოდ, — რაიონულ ცენტრში თუ მტს-ში? ეს უაზრო ლაპარაკი უნდა შევწყვიტოთ. განა ცხადი არ არის, რომ ადამიანებმა უნდა იცხოვრონ იქ, სადაც ისინი მუშაობენ? ყველა მუშაკი, რომლებიც გამოყოფილია მტს-ების ზონის კოლმეურნეობების მომსახურებისათვის, უდავოდ უნდა ცხოვრობდეს მტს-ის ტერიტორიაზე. თუ ახლა ამისი შესაძლებლობა არ არის, ისინი უნდა მოვაწყოთ ამ მტს-ის უახლოეს სოფელში.

პარტიის რაიკომი მასებში პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ცენტრია. პარტიის რაიკომის საქმიანობის შედეგები განისაზღვრება არა რაიკომიდან გასული ქაღალდების რაოდენობით, არა მოწყობილი თათბირებისა და სხდომების რაოდენობით, არამედ იმით, თუ როგორ მეთაურობს რაიკომი ბრძოლას პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, რა შედეგი მოაქვს ამ ბრძოლას. მასებში რაიკომის პოლიტიკური მუშაობის წარმატებანი განისაზღვრება რაიონის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიური მაჩვენებლებით.

ამჟამად სასოფლო რაიონებში მუშაობს პარტიის სამ მილიონამდე წევრი და კანდიდატი. როგორ არიან სოფლად განაწილებული პარტიული ძალები? სასოფლო რაიონებში კომუნისტთა საერთო რაოდენობიდან 30 პროცენტი მუშაობს რაიონული ორგანიზაციების დაწესებულებებში, 20 პროცენტი — სამრეწველო საწარმოებში და მხოლოდ 31 პროცენტი — კოლმეურნეობებში, 8 პროცენტი — მტს-ებში და 4,3 პროცენტი — საბჭოთა მეურნეობებში. საკოლმეურნეო წარმოების ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა მეცხოველეობა, მუშაობს კომუნისტ კოლმეურნეთა მხოლოდ 18,7 პროცენტი.

ბევრი რაიკომი სულაც არ მუშაობს პარტიაში კოლმეურნეთა მიღების საკითხებზე. ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში პარტია ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღების შეზღუდვის პოლიტიკას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სულ უნდა შევწყვიტოთ პარტიაში მოწინავე კოლმეურნეთა მიღება. გასულ წელს კი პარტიაში მიღებული იყო მხოლოდ 16.620 კოლმეურნე. ამასთან კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების სამ მეოთხედს და 585 სასოფლო რაიკომს პარტიაში მთელი 1953 წლის მანძილზე არც ერთი კოლმეურნე არ მიუღია. ეს ნაკლი საჭიროა აღმოვფხვრათ.

სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებისათვის, როგორც ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის რაიონული რგოლის განმტკიცებას კადრებით. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ცოტა რამ გაკეთდა. ბევრი ოლქის სასოფლო რაიკომებსა და რაიაღმასკომებში გაგზავნილია ცოტა მუშაკი. მაგალითად, მოსკოვის საოლქო კომიტეტი იმას დასჯერდა, რომ სასოფლო რაიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად გაგზავნა მხოლოდ სამი კაცი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტს კი არც ერთი კაცი არ გაუგზავნია.

მთელ რიგ შემთხვევებში საოლქო ცენტრებიდან რაიონებში იგზავნებოდნენ სრულიადაც არა უკეთესი მუშაკები. შარშან მოლდავეთის სს რესპუბლიკაში ლიკვიდირებულ იქნა ოლქები, რის გამო განთავისუფლდა 400-მდე ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი. მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სრული შესაძლებლობა ჰქონდა კარგი მუშაკები შეერჩია რაიონებისადმი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად. მაგრამ ეს მან არ გააკეთა. საოლქო კომიტეტების არც ერთი ყოფილი მდივანი, საოლქო აღმასკომების არც ერთი ყოფილი თავმჯდომარე და მათი მოადგილე არ გაგზავნილა ხელმძღვანელ სამუშაოზე რაიონებში.

პარტიული და საბჭოთა კადრების განმტკიცების განსაკუთრებით დიდი საჭიროება იგრძნობა ჩამორჩენილ რაიონებში. ამ რაიონებისათვის უნდა შევარჩიოთ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაციების ნამდვილად საუკეთესო მუშაკები.

მოხსენების დასაწყისში მე უკვე ვთქვი, თუ რამდენი მუშაკი გაიგზავნა მტს-ებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ. მაგრამ გაკეთდა მხოლოდ დასაწყისი, გადაიდგა მხოლოდ პირველი ნაბიჯები მტს-ებისა და კოლმეურნეობების კადრებით განმტკიცების გზაზე.

ზოგიერთი საოლქო კომიტეტი ფორმალურად მიუდგა კადრების შერჩევას კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის და შეუწყნარებლად გააჭიანურა ეს სამუშაო. მთელ რიგ შემთხვევებში კოლმეურნეობებსა და მტს-ებში იგზავნებოდნენ აშკარად უვარგისი მუშაკები, რომლებმაც საწარმოებში სახელი გაიტეხეს.

უნდა დაწესდეს იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა, რომლებიც რეკომენდაციას აძლევენ კადრებს კოლმეურნეობებსა და მტს-ებში სამუშაოდ. ცხადია, საჭიროა რაც შეიძლება მალე გამოსწორდეს დაშვებული შეცდომები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესებაში არის მექანიზატორთა მუდმივი კადრების შექმნა მტს-ებში. ბევრ რაიონში ამ სამუშაოს შეუწყნარებლად აჭიანურებენ. ტრაქტორისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ ფორმალურად არის ჩარიცხული მტს-ების შტატში და დღემდე არ ჩაბმულა მუშაობაში. ისე გამოვიდა, რომ ტრაქტორისტები ფორმალურად წავიდნენ კოლმეურნეობებიდან, მაგრამ მტს-ების საწარმოო მუშაობაში არ ჩაბმულან.

უნდა განვაგრძოთ სპეციალისტების შერჩევა და სოფლის მეურნეობაში გაგზავნა. ახლა ჩვენში კოლმეურნეობები ისე დიდია, რომ სასარგებლო იქნებოდა დიდ ფერმებში გვყავდეს ზოოტექნიკოსი, ხოლო მემინდვრეობის დიდ ბრიგადაში — აგრონომი.

არ შეიძლება აგრეთვე დავჯერდეთ იმას, რომ მხოლოდ გავგზავნოთ სპეციალისტი კოლმეურნეობაში და მივატოვოთ იგი თავის ანაბარად. უნდა დავეხმაროთ სპეციალისტს გამოარკვიოს თავისი ადგილი კოლმეურნეობაში, წარვმართოთ მისი ცოდნა, ძალღონე და ენერგია შემოქმედებითი აღმშენებლობითი საქმიანობისათვის.

ხშირად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა სოფლად მუშაობისათვის გამოყოფილი აგრონომები და ზოოტექნიკოსები ჯერაც არ წასულან კოლმეურნეობებში ან არიან იქ მხოლოდ გავლით, ბევრმა სპეციალისტმა მოიკალათა ეკონომიურად ძლიერ კოლმეურნეობებში ან ისეთ კოლმეურნეობებში, რომლებიც ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ახლოს არიან, ხოლო ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ნაწილში, რომლებსაც ყველაზე უფრო ესაჭიროებათ აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების დახმარება, დღემდე სპეციალისტები არ არიან.

ბელორუსიის სსრ მოგილიოვის ოლქის გორკის რაიონში 59 კოლმეურნეობაა. რაიონში ითვლება სოფლის მეურნეობის 86 სპეციალისტი. მიუხედავად ამისა, რაიონის ცენტრს ყველაზე დაშორებულ და ეკონომიურად სუსტ 17 კოლმეურნეობაში სპეციალისტები სულაც არ არიან. ამავე დროს 12 ყველაზე ძლიერ კოლმეურნეობაში და რაიონული ცენტრის ახლოს მდებარე კოლმეურნეობებში 26 სპეციალისტი გაიგზავნა.

ზოგიერთ სპეციალისტს სწორად არ ესმის თავისი ამოცანები და ადმინისტრატორის როლში გამოდის. კოლმეურნეობა „კომუნარში", რომელსაც მომსახურებას უწევს ორიოლის ოლქის გოროდიშჩეს მტს-ი, მუშაობენ აგრონომი სიდორენკო და ზოოტექნიკოსი ჩუნიხინი. ნამდვილ ზრუნვას კოლმეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის ისინი არ იჩენენ. ამხ. სიდორენკო სამუშაოზე ცხადდება დილის 10-11 საათზე და მიდის ნაშუადღევის 4-5 საათზე. ამ სპეციალისტებმა შემოიღეს განკარგულებათა წიგნი, რომელშიც წერენ თავიანთ „მითითებებს" კოლმეურნეობის თავმჯდომარისადმი. მაგალითად, 20 დეკემბერს ზოოტექნიკოსმა ჩუნიხინმა ჩაწერა: „დავათვალიერე მეცხოველეობა და გამოვარკვიე, რომ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს და განსაკუთრებით უშობლებს ჯოგად ინახავენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვავალებ შეიძინოს ფიცრები, გააკეთოს ბაგეები, მოიტანოს მარილი და 2-3 დღეში დაახარისხოს თესლი". აგრონომმა ამხ. სიდორენკომ 21 დეკემბერს ჩაწერა: „წინადადებას ვაძლევ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ დაამყაროს წესრიგი ბაღში". ცხადია, რომ სპეციალისტთა ასეთი საქმიანობა კოლმეურნეობას ძალიან ცოტა სარგებლობას მოუტანს.

ყველაზე სუსტი ადგილი კადრებთან მუშაობაში არის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სრულიად არადამაკმაყოფილებელი შერჩევა. დღემდე ზოგიერთ კოლმეურნეობას სათავეში უდგანან უვარგისი, დაუდევარი ადამიანები, ლოთები, რომლებიც არ შეიძლება მივაკაროთ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობას. ცენტრალურ კომიტეტში და მთავრობაში შემოდის კოლმეურნეთა საჩივრები კოლმეურნეობათა უვარგისი ხელმძღვანელების შესახებ.

კარგად ვერ არის ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების მომზადების საქმე. ჩვენს ქვეყანაში 118 საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლაა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებლად. ბევრი სკოლა ვერ ასრულებს მსმენელთა მიღების გეგმებს და მათი დაკომპლექტება ხდება მეტწილად ახალგაზრდობით და მოზარდებითაც კი. მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს ნოვგოროდის სასოფლო-სამეურნეო სკოლის პირველ კურსზე მიღებული 75 კაციდან მხოლოდ 17 კაცს აქვს კოლმეურნეობებში ხელმძღვანელი მუშაობის გამოცდილება, დანარჩენები კი მოზარდები არიან. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც. შედეგად 8.900 კაციდან, რომლებმაც შარშან სასოფლო-სამეურნეო სკოლები დაამთავრეს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად გაგზავნილია მხოლოდ 1.000 კაცი. საჭიროა კარგად დავაყენოთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მომზადების საქმე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცენტრალური ფიგურაა საკოლმეურნეო წარმოებაში, ხოლო რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დამოკიდებულება მისდამი ზოგჯერ აღმაშფოთებელია. აი რას სწერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" თავმჯდომარე ამხ. მურომსკი:

„ჩვენ, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ყოველდღიურად ვმუშაობთ კოლმეურნეებთან, ძალიან ვცდილობთ ველაპარაკოთ მათ, დავარწმუნოთ, განვუმარტოთ. მაგრამ რაიონული ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი ცუდად ეპყრობა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს. ყოველ დირექტივას ბოლოზე მიწერილი აქვს: თუ ეს არ გაკეთდა, მაშინ თქვენ, როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მიეცემით სამართალში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში და სხვ. იყო ასეთი ქაღალდიც, რომელსაც ხელს აწერდა რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ზაიცევი: თუ უზრუნველყოფილ არ იქნა კოლმეურნეთა გაგზავნა ხე-ტყის დასამზადებლად, მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალდებულია პირადად გამოცხადდეს შესაკრებ პუნქტზე, რათა გაიგზავნოს ხე-ტყის დამზადებაზე კოსტრომის ოლქში".

პარტიული ორგანიზაციები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან, როგორც წესი, ცუდად მუშაობენ, არ ზრუნავენ მათი აღზრდისათვის. პარტიის ბევრი რაიკომი და რაიაღმასკომი მათდამი იყენებენ ზემოქმედების მხოლოდ ადმინისტრაციულ მეთოდებს. საჭიროა მზრუნველობით მოვეპყროთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, გავუწიოთ მეტი დახმარება და მხარდაჭერა.

კადრების საკითხი მთავარი საკითხია მთელ ჩვენს მუშაობაში. მტს-ების დირექტორების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ინჟინრების, ბრიგადირების, ტრაქტორისტებისა და კომბაინერების კარგი კადრები წარმატებათა საწინდარია სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

ზემოთ მე ვილაპარაკე სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში პარტიული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. ჩვენ გაბედულად და მტკიცედ უნდა ვამჟღავნოთ ნაკლოვანებანი, აღმოვფხვრათ ისინი, ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მხოლოდ ამ პირობით შევძლებთ გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი მუშაობა. სერიოზულად არ უნდა შეგვაშფოთოს იმ ფაქტმა, რომ ნაკლოვანებათა აშკარად გაკრიტიკებით ჩვენ რამდენიმე ხანს საზრდოს გავუჩენთ საბჭოთა ქვეყნის მტრებს, ყოველგვარ ავისმდომლებს, რომლებიც ასეთ შემთხვევებში, როცა ჩვენ ვამჟღავნებთ ჩვენს ნაკლოვანებებს, საბჭოთა კავშირის სისუსტეზე გაჰყვირიან. მაგრამ, როგორც ხალხში ამბობენ: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის". ყურადღებას არ უნდა ვაქცევდეთ მტრების ბოროტ ჭორებს.

ნაკლოვანებათა კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი ნაცადი იარაღია. ნაკლოვანებათა კრიტიკა მხოლოდ გვაძლიერებს. ეს კრიტიკა მოწმობს არა ჩვენს სისუსტეს, არამედ ჩვენი საბჭოთა წყობილების ძალას, კომუნისტური პარტიის ძალას. ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა გაბედულად გამომჟღავნებით, მათი უსწრაფესად აღმოფხვრით ჩვენ ვაჩქარებთ ჩვენი სოციალისტური მეურნეობის ზრდას, ვიბრძვით ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

* * *

ამხანაგებო! ბრძოლა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ამჟამად კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი უბანია. ამ ამოცანის განხორციელებას საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა საქმის წარმატების მტკიცე რწმენით. ჩვენ ცოტა სიძნელე როდი მოგველის, მაგრამ საბჭოთა ადამიანები არ დაიშურებენ ძალღონეს, რომ მიზანს მიაღწიონ. ისინი უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, როგორც უზრუნველყვეს სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი ზრდა და სამეურნეო მშენებლობის სხვა ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

ჩვენი სოციალისტური სამშობლო ახალ მძლავრ აღმავლობას განიცდის. საბჭოთა კავშირის წარმატებანი მშვიდობიან მშენებლობაში მხნეობასა და რწმენას უნერგავენ ჩვენს მეგობრებს, იწვევენ ჩვენი მტრების მძვინვარე გაბოროტებასა და სიძულვილს ჩვენდამი. იმპერიალისტები იწყებენ იმის გამოანგარიშებას, თუ საბჭოთა კავშირის განვითარების ეკონომიური დონე და ჩვენი ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე საქონლის წარმოება რომელ წელს გადააჭარბებს ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს. ხოლო რომ ეს მოხდება, ამას ისინი უკვე აღარ იჭვობენ. მათ ასეთი პერსპექტივა აშინებთ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი, მხურვალედ იწონებს მთელი მოწინავე კაცობრიობა. იგი, ეს პოლიტიკა, ნათელი და გარკვეულია. ეს არის მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების პოლიტიკა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მუდმივად მზარდი ბანაკის განმტკიცების პოლიტიკა.

ჩვენ მტკიცე რწმენით მივდივართ წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. ხელმძღვანელობს რა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრებით, კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს საბჭოთა სახელმწიფოს, მის თავდაცვისუნარიანობას, მხედველობაში აქვს რა, რომ საბჭოთა ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაშია და მზად უნდა იყოს გამანადგურებელი პასუხი გასცეს აგრესორების ყოველ ცდას — ხელი შეუშალონ ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას.

კომუნისტური პარტია განამტკიცებს მუშათა და გლეხთა ურღვევ კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობას, დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

კომუნისტურ პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყნის ხალხები კომუნიზმის მშენებლობის გზით!

რედაქტორის მოადგილე რ. ქურციკიძე.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-35, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00950

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"